პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 283 (18525) ხუთშაბათი, 9 დეკემბერი, 1982 წელი ფასი 3 კაპ.

18 დეკემბერს კომუნისტური შაბათობაა

მოსკოვის მოწინავე საწარმოთა პატრიოტულ თაოსნობას — 18 დეკემბერს მოაწყონ სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი კომუნისტური შაბათობა — მხარი დაუჭირა საწარმოო გაერთიანება „ჭიათურმანგანუმის" ცენტრალური დამყვანი და საფლოტაციო ფაბრიკების კომპლექსის კოლექტივმა. გადაწყვიტეს „წითელი შაბათობის" დღეს იმუშაონ მაღალნაყოფიერად და გამომუშავებული თანხა გადარიცხონ მეთერთმეტე ხუთწლედის ფონდში.

18 დეკემბერს 650 წარმოების მუშაკი დაიკავებს თავის სამუშაო ადგილს და გამოუშვებს 420 ტონა მანგანუმის კონცენტრატს.

სურათზე: პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე ანზორ კაპანაძე და მოწინავე მუშები ადგენენ შაბათობის მოწყობის გეგმას.

ა. მაჭავარიანის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მოვუმზადოთ არმიას ღირსეული ცვლა

სოციალისტური სამშობლოსადმი, მისი შეიარაღებული ძალებისადმი სიყვარული და პატივისცემა უძვირფასესი გრძნობაა, რომელიც სულ უფრო ღრმად იპყრობს ჩვენი ახალგაზრდობის, მშრომელთა ფართო მასების გულს. ცხადია, ყოველივე ეს გასაკვირი არ არის, რადგან თითოეულ საბჭოთა ადამიანს, ჩვენს ახალგაზრდობას სამშობლოს ბედი თავის საკუთარი ბედის განუყოფელ ნაწილად მიაჩნია, ხოლო მტრული ხელყოფისაგან მისი თავგანწირვით დაცვა უპირველესი მოქალაქეობრივი და კონსტიტუციური მოვალეობაა.

ეს დიადი გრძნობა, პატრიოტიზმის ეს უმაღლესი გამოხატულება თვალნათლივ დასტურდება ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების მაგალითებით, საბჭოთა არმიისა და ხალხის ფართო მასების კავშირურთიერთობით, სამხედრო სამსახურისადმი ახალგაზრდობის დაშოკიდებულებით. სასიამოვნო ფაქტია ის, რომ ჩვენს რესპუბლიკაში ახლა შექმნილია და ნაყოფიერად მოქმედებს მშრომელთა ფართო მასების, კერძოდ, ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდის ისეთი მწყობრი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს პოლიტიკურად მომწიფებული, ფიზიკურად და სულიერად ჯანსაღი თაობით საბჭოთა არმიის ცალკეული ნაწილების შევსებას. აღსანიშნავია, რომ ამ მნიშვნელოვანი საქმის წარმატებებს განაპირობებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სარდლობის ერთობლივი მუშაობა, რომელსაც საფუძვლად უდევს მრავალფეროვან ღონისძიებათა ვრცელი პერსპექტიული და კონკრეტული გეგმები.

საბჭოთა არმიის რიგებში სავალდებულო სამსახურისათვის ჩვენი ახალგაზრდობის მომზადების, მათთვის ჯარისკაცული ჩვევების გამომუშავების, ხალხისა და არმიის ურღვევი მეგობრობის შემდგომი განმტკიცების საგულისხმო მაგალითები და საყურადღებო ფაქტები ჩვენში ახლა ბევრია. ამ მხრივ საინტერესოა ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო და სასაზღვრო ოლქების და ადგილობრივი შრომითი კოლექტივების მრავალმხრივი ურთიერთობისა და ერთობლივი მუშაობის გამოცდილება. სამხედრო ნაწილები და სამოქალაქო ორგანიზაციები შეფობას უწევენ ერთმანეთს, ხშირია შემოქმედებითი კოლექტივების, ლექტორ-მომხსენებლების გაცვლა, ერთმანეთთან სტუმრობა, სამეურნეო საქმეებში დახმარება. სამხედრო-პატრიოტული სულისკვეთებით მოსახლეობის აღზრდის საქმეში კარგი გამოცდილება აქვთ შეძენილი თბილისის, აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის, ქუთაისის, რუსთავის, ახალციხის და სხვა პარტიულ, საბჭოთა, კომკავშირულ ორგანიზაციებს, ცალკეულ საწარმოებს, დაწესებულებებს, სამხედრო კომისარიატებს.

ჩვენი რესპუბლიკის ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული ორგანიზაციები ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული და ინტერნაციონალური სულისკვეთებით აღზრდისათვის უნარიანად იყენებენ საბრძოლო დიდების მუზეუმებს, სპეციალურ ოთახებს, გაერთიანებებს, მომავალი მეომრების უნივერსიტეტებს. ამასთან ისიც აღსანიშნავია, რომ ამ საქმეში ფასდაუდებელი წვლილი შეაქვს ხალხთა მეგობრობის მუზეუმს, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების ისტორიის მუზეუმს, რომელთა ღონისძიებებში ყოველწლიურად ათიათასობით მშრომელი მონაწილეობს.

ერთი სიტყვით, საქართველოს პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები ყოველნაირად ცდილობენ, რომ სულ უფრო მტკიცდებოდეს და ღრმავდებოდეს მოსახლეობისა და საბჭოთა მეომრების კავშირურთიერთობა, თითოეულმა მოქალაქემ სრულად შეიგნოს თავისი თანაზიარობა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების, სამშობლოს უშიშროების უზრუნველყოფის ამოცანების გადაწყვეტასთან. სამხედრო-პატრიოტული აღზრდის, თავდაცვითი მასობრივი მუშაობის გაუმჯობესების საქმეში ერთ-ერთი უპირველესი როლი ეკუთვნის არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობ ნებაყოფლობით საზოგადოებას. მისი ადგილობრივი ორგანოები, რომლებიც ათიათასობით მოქალაქეს აერთიანებენ, დიდ მუშაობას ეწევიან ახალგაზრდობის სამხედრო სამსახურისათვის მოსამზადებლად. მაგრამ ის, რაც ამ მხრივ კეთდება, ჯერ კიდევ არ არის საკმარისი. ამ უმნიშვნელოვანეს საქმეს

მკაცრად უნდა მოვკითხოთ

ელექტროენერგიის დანაკარგების წინააღმდეგ ბრძოლის რესპუბლიკურ შტაბში

პარტიული კონტროლის ძალა

საკმარისი თბოიზოლაციის გამო. ეს კი ყოველ დღე-ღამეში კიდევ 180 კილოვატსაათ ელექტროენერგიას შეადგენს. ანალოგიური დანაკარგები აქვს საწარმოს იმის გამოც, რომ მისი საწარმოო სათავსოების ფანჯრის მინები ჭუჭყიანია. ქარხანაში არ ხორციელდება რეაქტიული სიმძლავრის კომპენსაცია, შემუშავებული არ არის ღონისძიებანი „პიკის" საათებში ელექტროენერგიის ხარჯვის დატვირთვის რეგულირებისათვის...

შტაბმა თავის სხდომაზე განიხილა რეიდის შედეგები და დაასკვნა, რომ მხოლოდ დათვალიერების დროს გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა მისცემს შესაძლებლობას საწარმოს განსაკუთრებული დანახარჯების გარეშე დაზოგოს წელიწადში 260 ათასი კილოვატსაათზე მეტი ელექტროენერგია, რაც ნორმირებული ხარჯვის ექვს პროცენტზე მეტს შეადგენს.

სერიოზული დარღვევები გამოვლინდა სათბობის, საწვავ-საპოხი მასალების ხარჯვის საქმეშიც. მაგალითად, ქარხანა ყოველწლიურად იყენებს 80 ათას კუბურ მეტრ

...

გაშლილი შეჯიბრების გამარჯვებულთა გამოვლენა.

შტაბის წევრებმა საგულდაგულოდ გააანალიზეს შექმნილი მდგომარეობა და პრინციპული, პარტიული შეფასება მისცეს გამოვლენილ უყაირათობასა და მფლანგველობას. გამოითქვა კონკრეტული რეკომენდაციები, რომელთა მიზანია სათბობ-ენერგეტიკული რესურსების დაზოგვაში გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა. საწარმოს ხელმძღვანელობის, პარტიული, საზოგადოებრივი ორგანიზაციების განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრეს იმას, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს კომუნისტების, მთელი კოლექტივის დარაზმვას მომჭირნეობისა და ყაირათიანობის რეჟიმის გაძლიერებისათვის.

რესურსების დაზოგვა საერთო საზრუნავია

...

ელექტროენერგია იკარგება ქარხნის ინდუქციურ ღუმელებში არა-

...

რა და, შესაბამისად ენერგეტიკული რესურსების დაზოგვისათვის

არც ერთი წუთი მოცდენა, არც ერთი გრამი დანაკარგი!

ხარისხისათვის

ცხინვალი. გ. თედეევი. („კომუნისტის" საკ. კორ.). შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების ბრიგადულმა ფორმამ კარგად მოიკიდა ფეხი ცხინვალის მომინანქრებული სადენების ქარხანაში. ამ მეთოდით აქ ახლა ყოველი მეორე ბრიგადა იღვწის.

მომმინანქრებელთა 12-კაციანმა ბრიგადული იჯარით მომუშავე კოლექტივმა, რომელსაც საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის ბიუროს წევრი, სკკპ XXVI ყრილობის დელეგატი სულიკო პლიევი ხელმძღვანელობს, ნოემბრის დავალება ათი დღით ადრე შეასრულა და მხოლოდ უმაღლესი ხარისხის პროდუქცია გამოუშვა. ბრიგადული მეთოდით შრომამ განაპირობა ქარხნის საერთო წარმატება. საწარმოს კოლექტივის მიერ გამოშვებული პროდუქციის 33 პროცენტი უმაღლესი კატეგორიისაა, ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყანამ 3 მილიონი მანეთის სახელმწიფო ხარისხისნიშნიანი მომინანქრებული სადენები მიიღო, რაც გეგმით გათვალისწინებულს ბევრად აღემატება.

— ჩვენი მიზანია მიმდინარე ხუთწლედში მთელი პროდუქციის 50 პროცენტზე მეტი მხოლოდ უმაღლესი ხარისხისა იყოს, — გვითხრა ქარხნის დირექტორმა ფ. ბეკოევმა. გაისად ყველა ბრიგადა ახლებურად იშრომებს.

...

ჭირნეობით ხარჯონ მასალები და ვადამდე შეასრულონ საიუბილეო წლის გეგმა.

მომჭირნეობა, ყაირათი

ვანი. („კომუნისტის" საკ. კორ.). ყაირათიანი შრომითა და მომჭირნეობის რეჟიმის განუხრელი დაცვით რაიონის დაწესებულებებს შორის სახელი გაითქვა ვანის საუკეთესო ტრადიციების ღვინის ქარხნის კოლექტივმა, რომელიც რესპუბლიკის ღვინის ქარხნებს შორის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველ ადგილზე გამოვიდა — მესამე კვარტალის დავალება 114 პროცენტით შეასრულა, მომხმარებელს მიაწოდა 2.101 ათასი მანეთის პროდუქცია.

ამ დღეებში ქარხნის კოლექტივს საზეიმო ვითარებაში გადაეცა გარდამავალი წითელი დროშა.

როგორც ამ ქარხნის დირექტორმა სოლომონ ადეიშვილმა აგვიხსნა, ღვინის წარმოებაში ჯეროვანი ყურადღება ექცევა მომჭირნეობას, მარტო გასულ კვარტალში 5 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია დაზოგეს, ასევე დაზოგეს 50 ტონაზე მეტი სათბობი მასალები.

ცაწელი მეღვინეები პირობას იძლევიან წლიური დავალება გაანაღდონ 15 დეკემბრისათვის.

ემზადებიან დასაბრუნებლად

...

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

...

რეპორტიორის მწვავე სიგნალი

რკინიგზელებო, იჩქარეთ საშველად!

აფხაზეთის ციტრუსის პლანტაციებში უპირატესი ტემპით მიმდინარეობს მანდარინის, ფორთოხლისა და ლიმონის კრეფა. ვალდებულების მიხედვით მეციტრუსეებმა უნდა მოკრიფონ 125 ათასი ტონა სურნელოვანი ნაყოფი. მაგრამ მოელიან, რომ ჭირნახულის საბოლოო „წონა" გაცილებით მეტი იქნება.

უნდა ვიჩქაროთ. სადაც არის, ყინვა დაიჭერს, თოვა დაიწყება. ოქროსფერი ნაყოფის ყუთებით პირთამდე დატვირთული ასობით მანქანა მიიჩქარის ავტონომიური რესპუბლიკის გზებზე მიმღები პუნქტების, საფუთავი ქარხნებისაკენ, აქ კი... „საცობია".

ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ახალშენის კოლმეურნეობის № 1

...

ფება სულ ცოტა 500 ტონა ნაყოფი, ხოლო კოლმეურნეები (სოფელში 1500 კომლია). საკარმიდამო ნაკვეთებში მოკრეფენ კიდევ 1500 ტონას. მათ გადაწყვიტეს მთელი ჭირნახული სახელმწიფოს მიჰყიდონ, ნახევარი მოსავალი უკვე მოკრეფილია. მაგრამ ახლა როგორ მოვიქცეთ? კოლმეურნეობის სამი მიმღები პუნქტი ჭერამდე მანდარინიანი ყუთებით არის გაჭედილი და ციტრუსი ველარ მიგვილია, რკინიგზელები კი გვიგვიანებენ ვაგონების ჩამოწოდებას. ირღვევა ნაყოფის დამზადებისა და გატანის გრაფიკი. იძულებული ვხდებით მოკრეფილი მანდარინი პლანტაციებში გავაჩეროთ. ამას კი შეიძლება დანაკარგები მოჰყვეს.

...

პარტიული ცხოვრება: 80-იანი წლების კომუნისტები

ახალი რეისის მოლოდინში...

ყველა ადამიანი თავისი ცხოვრებით ცხოვრობს, ზოგს ლამაზი, შინაარსიანი ბიოგრაფია აქვს, ზოგს — არაფრით გამორჩეული... კომუნისტ რეზო ელიაშვილის ცხოვრების გზა ძალზე საინტერესოა. იგი საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე დიდ და ვაჟკაცურ საქმეს შეეჭიდა — მუშაობა დაიწყო ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის განყოფილებაში სალოკომოტივო დეპოს ცეცხლფარეშად. ეს იყო 1954 წლის აპრილში. ჩოხატაურის რაიონის მთის სოფელ ფარცხმიდან ჩამოსულ ახალბედა რკინიგზელს პირველ დღეებში ფარცხმელ ბიჭს ეძახდნენ დეპოელები. ერთი წლის შემდეგ იგი მემანქანის თანაშემწედ გადაიყვანეს.

ეს ბიჭი ჩინებული მემანქანე დადგებაო, წინასწარმეტყველებდნენ ვეტერანი რკინიგზელები. ერთხანს ჩამოსცილდა საყვარელ საქმეს — 1958 წელს ყამირი მიწების ამთვისებელთა რაზმს შეუერთდა. იქაც ჩვეული მოწადინებით ილწვოდა. ყაზახეთიდან დაბრუნების შემდეგ მემანქანის ადგილი დაიკავა და მას შემდეგ აღარ მოშორებია რკინიგზის მაგისტრალებს. რევაზი ჯერ დეპოს კომკავშირის კომიტეტის მდივნად აირჩიეს, შემდეგ პარტიული ბიუროს მდივნად, ახლა იგი პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილეა. რკინიგზელთა საკავშირო გაზეთ „გუდოკში" გამოქვეყნებულ მოწოდებას რკინიგზის ყველა დეპოში პარტიის XXV ყრილობის სახელობის მემანქანეთა კოლონის შექმნის შესახებ პირველი რ. ელიაშვილი გამოეხმაურა. მან 16 მემანქანის შემადგენლობით შექმნა ასეთი კოლონა, რომელსაც სათავეში თავად ჩაუდგა. მას შემდეგ შვიდი წელი გავიდა. კოლონა ზედიზედ ყოველ წელს დიდი გადაჭარბებით ასრულებს წლიურ ვალდებულებებს. მეათე ხუთწლედი ვადამდე გაანაღდეს, ხოლო მეთერთმეტე ხუთწლედში ახალი გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს — გადაიყვანონ 2.000 მძიმეწონიანი მატარებელი, გეგმის გადამეტებით გადაზიდონ 600.000 ტონა ტვირთი და დაზოგონ 2.000.000 კილოვატსაათი ელექტროენერგია.

სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის კოლონის წევრებს ნაკისრი ჰქონდათ—მეთერთმეტე ხუთწლედის ორწლინახევრის დავალება შეესრულებინათ 18 დეკემბრისათვის. ფაქტობრივად ეს დავალება 7 ოქტომბრისათვის შეასრულეს. რკინიგზელები სიტყვის ხალხი გამოდგნენ და ამაზე ყველაზე ნათლად სტატისტიკა მეტყველებს. აი ისიც: გადაიყვანეს 980 მძიმეწონიანი მატარებელი, გადაზიდეს 301.000 ტონა ტვირთი, დაზოგეს 1.145.730 კილოვატსაათი ელექტროენერგია. კოლონის შრომის კალენდარზე 1983 წლის აგვისტოა.



ნოვატორმა მემანქანემ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრმა რ. ელიაშვილმა სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავს მეტად საინტერესო ნობათი მიუძღვნა — თავისი ელმავლით წელს 9 სექტემბერს ბათუმის რკინიგზის სადგურიდან სამტრედიაში გადმოიყვანა 7.200 ტონა ტვირთიანი მატარებელი — სულ 91 ვაგონი 364 ღერძით, შემადგენლობის სიგრძე 2 კილომეტრს აღემატებოდა. ეს სათქმელად იოლია, მაგრამ, ვინც სარკინიგზო საქმე კარგად იცის, მიხვდება, თუ რა რთულია ამოდენა ტვირთის გადაადგილება ერთი წერტილიდან მეორემდე.

— ვიდრე ელმავალს დავძრავდი, — თქვა რეისის მერე რევაზ ელიაშვილმა, — ერთხელ კიდევ დავათვალიერე ჩემი ერთგული მეგობარი. არ მეღალატოს-მეთქი, ვფიქრობდი. ანდა რატომ უნდა ეღალატა, მოვლა-პატრონობა და ყურადღება არასდროს დამიკლია. ამის იმედი მქონდა. ჩავრთე თუ არა, დაიძრა. ასე დაიწყო ჩემი მეტად გაბედული სარისკო მგზავრობა, დიახ, რისკიანი, მაგრამ მეტად საინტერესო. მხოლოდ მაშინ მოვითქვი სული, როდესაც ზღვისპირეთის მიხვეულ-მოხვეულ ადგილებს გამოვშორდი, ვიცოდი, ჩემს მგზავრობას მთელი რკინიგზის შემადგენლობა, ჩემი თანამოსაქმეები ადევნებდნენ თვალყურს და ამიტომაც არც ენერგია, არც გამოცდილება, არც მოწადინება დამიზოგავს ამ სახიფათო მგზავრობის კეთილად დაგვირგვინებისათვის. ერთი ელმავლით ამოდენა ტვირთი ჯერ არავის გადაუზიდავს.

უკან დარჩა მღელვარება, მძიმე წუთები. და აი, გამარჯვებაც...

რევაზის ხასიათის ერთ-ერთი განმსაზღვრელი თვისება კოლექტივიზმის გრძნობაა. თავის წარმატებების სრულუფლებიან მონაწილეებად მიაჩნია თანამოსაქმეები — მოწინავე მემანქანეები პ. ფრანგიშვილი, ა. ღამბაშიძე, მ. ჩაჩუა, ლ. ლეჟავა, ს. ბარამიძე და სხვები.

სამტრედიის რკინიგზის კვანძის პარტიული კომიტეტის მდივანმა დ. რამიშვილმა ბევრი საინტერესო, ცოცხალი მაგალითი მოიყვანა იმისა, თუ რა ენთუზიაზმით ასრულებს ყველა პარტიულ დავალებას ნოვატორი მემანქანე რ. ელიაშვილი, ახლა კიდევ ახალი ინიციატივა გამოუჩენია — სურამის გადასასვლელზე გაატარონ ათასობით ტონა ტვირთიანი მატარებელი. ამ წონის მატარებელი ჯერ არ გადასულა დასავლეთიდან აღმოსავლეთის რკინიგზაზე. მატარებელს ბათუმიდან წამოიყვანს რ. ელიაშვილი, ჩაიყვანს ზესტაფონში, იქიდან კი მას წაიყვანენ ხაშურელი და თბილისელი მემანქანეები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები ხაჩიძე და კაკაბაძე, რომლებიც სოციალისტურ შეჯიბრებაში არიან ჩაბმული რევაზთან. ვნახოთ, როგორ დამთავრდება ეს საინტერესო რეისი. თავად ნოვატორ მემანქანეს ეჭვი არ ეპარება წარმატებაში.

ჩვენ კი გვწამს რომ ეს გამარჯვება უკანასკნელი არ იქნება მისთვის და მისი კოლექტივისთვის — პარტიის XXV ყრილობის სახელობის მემანქანეთა კოლონისათვის.

ბ. ჩხაიძე.
„კომუნისტის" საკ. კორ.

სურათზე: ნოვატორი მემანქანე რ. ელიაშვილი.

ყურადღება არჩევით აქტივს!

დახმარება — უსისტემოდ, სწავლება? — უპროგრამოდ

მაიაკოვსკის რაიონში 95 პირველადი პარტიული ორგანიზაციაა, რომლებიც 2051-მდე კომუნისტს აერთიანებს. შექმნილია აგრეთვე 25 საწრიგადო პარტიული ორგანიზაცია და 83 პარტიული ჯგუფი. მათ ხელმძღვანელობაში საანგარიშო-საარჩევნო კრებების შემდეგ ბევრი ახალი აქტივისტი მოვიდა.

როგორ მიმდინარეობს ძირეული პარტიული რგოლების ხელმძღვანელთა სწავლება? ამ კითხვაზე პასუხის მისაღებად საქართველოს კომპარტიის მაიაკოვსკის რაიკომს მივაკითხეთ.

აქ წლეულს შექმნილი იყო და ნაყოფიერადაც მიმდინარეობდა მეცადინეობა რაიონის პარტიული ორგანიზაციების მდივნების ერთწლიან სკოლაში, რომელსაც პარტიის რაიონული კომიტეტის პირველი მდივანი გ. ნოზაძე ხელმძღვანელობდა, მაგრამ ეს იყო და ეს. საწრიგადო პარტორგანიზაციების მდივნებისა და პარტჯგუფორგანიზატორების სწავლება თვითდინებაზე იყო მიშვებული. არადა, წელს რესპუბლიკის პირველადი პარტორგანიზაციების მდივნების პირველი რესპუბლიკური კრების შედეგებს რომ განიხილავდნენ, ბევრი კრიტიკული შენიშვნა გამოითქვა. მაგალითად, აღინიშნა, რომ ძალზე სუსტად მუშაობენ სოფლების ზეგნის ქედანოვის, ობჩის ლენინის სახელობის კოლმეურნეობათა, ხანის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის სამეურნეობათაშორისო მეცხოველეობის საწარმოს პირველადი პარტიული ორგანიზაციები. აქ სათანადო ყურადღება არ ეთმობა მევენახეობასა და მეცხოველეობის განვითარებას. პარტიული ორგანიზაციების ერთმა ნაწილმა, მათ შორის სოფელ ობჩის ორჯონიკიძის სახელობის, ამავე სოფლის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობების, ცხოველთა დაავადებებთან მებრძოლი სადგურის, წითელხევის ტერიტორიული, მაიაკოვსკის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა არსებითად უნდა გამოასწორონ პარტიული კრებების მომზადებასა და ჩატარებაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი, აამაღლონ კომუნისტთა აქტიურობა.

ერთი სიტყვით, კომუნისტები აყენებდნენ ამ საკითხებს, ისინი მოითხოვდნენ არსებითად გაუმჯობესებულიყო ძირეული რგოლების ხელმძღვანელთა სწავლება, მაგრამ დღემდე ნათქვამი ნათქვამად რჩება.

— ანგარიშგება-არჩევნების შემდეგ ვაპირებთ განვაახლოთ პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების ერთწლიანი სკოლის კონტინგენტი, უფრო შინაარსიანი გავხადოთ ყოველი მეცადინეობა, — თქვა პარტიის მაიაკოვსკის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგემ ა. კიკნაველიძემ, — მაგრამ ჯერჯერობით ეს მხოლოდ კეთილი სურვილია. ასევე მხოლოდ სურვილია ისიც, რომ პირველადი პარტორგანიზაციების მდივნების მოადგილეთა სწავლებასაც ორგანიზებული ხასიათი ჰქონდეს. წინათ ეს საქმე მთლიანად მინდობილი ჰქონდა მხოლოდ პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებას.

პარტიის რაიკომში შექმნილია ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის კაბინეტი (გამგე — გ. მაგრაქველიძე), მაგრამ მისი საქმიანობა მხოლოდ საინფორმაციო მუშაობით შემოიფარგლება. აქ იშვიათად, შემთხვევიდან შემთხვევამდე იწვევენ პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებს, მათთვის არ ეწყობა საინსტრუქტაჟო ხასიათის საუბრები, ღარიბია პარტიული აქტივის სწავლებისათვის წარმოდგენილი ლიტერატურა, სხვა მასალები.

ერთ დროს რაიონში დაიწყეს ზონების მიხედვით მსხვილ პარტორგანიზაციებთან მეთოდიკური კაბინეტების შექმნა, რასაც ძირეული რგოლების ხელმძღვანელთა სწავლებისათვის უთუოდ დიდი მნიშვნელობა ექნებოდა, მაგრამ შემდგომ ეს საქმე მიივიწყეს და კაბინეტები ახლა მხოლოდ ფორმალურად არსებობს.

როგორც პარტიის რაიკომში განაცხადეს, სამ თვეში ერთხელ ეწყობა საწრიგადო პარტიული ორგანიზაციების მდივნების სწავლება, ხოლო პარტორგანიზატორებისა — ექვს თვეში ერთხელ. მაგრამ ამისათვის არც სასწავლო პროგრამები გააჩნიათ და არც ამ მხრივ გაწეული მუშაობა აღურიცხავს ვინმეს.

ვფიქრობთ, პარტიის მაიაკოვსკის რაიონულ კომიტეტში ამ კრიტიკული შენიშვნებიდან სათანადო დასკვნებს გამოიტანენ.

დ. გედენიძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

თათბირ-სემინარი

ბორჯომი. („კომუნისტის" კორ.). აქ გაიმართა რაიონის პირველადი პარტორგანიზაციების მდივნებისა და მათი მოადგილეების თათბირ-სემინარი. „რაიონის პარტიული ორგანიზაციების ამოცანები სკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის, აგრეთვე სკპ ცენტრალური კომიტეტის მიმდინარე წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად" — ასეთი იყო თემა მოხსენებისა, რომლითაც სემინარზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ბორჯომის რაიკომის პირველი მდივანი ი. გურგენიძე.

იმის შესახებ, თუ როგორ რეაგირებენ პირველადი პარტორგანიზაციები საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე კომუნისტთა მიერ რაისაბჭოს აღმასკომის წინაშე დაყენებულ საკითხებზე, დამსწრეთ მოახსენა სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ გ. კურტანიძემ.

კრებაზე კომუნისტთა შენიშვნების, საქმიანი წინადადებების, სურვილების განხორციელებისათვის მუშაობის მიმდინარეობაზე ინფორმაციები გააკეთეს პარტიის რაიკომის განყოფილებათა გამგეებმა, ზონების ინსტრუქტორებმა.

ბ. ბაბლიძე.

წერილი რედაქციას

ნუ გადავდებთ ეროვნულ საქმეს

„ბრინჯაოს მხედრის" უკანასკნელი აკადემიური გამოცემის წინასიტყვაობაში ვკითხულობთ: „პუშკინის ქმნილებებში ჩვენ გვაინტერესებს მთელი მათი შემოქმედებითი ისტორია, ბედი ყოველი სტრიქონისა, ყოველი სიტყვისა, ყოველი სასვენი ნიშნისა, თუკი მას ოდნავ მაინც აქვს რაიმენაირი დამაჯერებლობა ამა თუ იმ პასაჟის აზრთან" („ნაუკა", ლენინგრადი, 1978). სურათიც შესაბამისია: 288-გვერდიან წიგნში თვითონ ა. პუშკინის თხზულებას სულ რაღაც 8 ფურცელი უჭირავს, დანარჩენი კი დათმობილი აქვს პოემის ვარიანტებს, ტექსტის წყაროებს, ნაირწაკითხვებს, შავ ჩანაწერებს, დოკუმენტურ მასალებს, ლიტერატურულ ფონს, პოემის ჩანაფიქრისა და შექმნის, პუბლიკაციისა და შესწავლის ისტორიას, აგრეთვე, სსრ კავშირის ხალხთა და უცხო ენებზე არსებულ პოემის თარგმანთა საძიებლებს, ილუსტრაციათა და შემოკლებათა სიებს.

როგორც ვხედავთ, თანამედროვე რუსული საბჭოთა ტექსტოლოგიის მეცნიერებას აინტერესებს თავისი დიდი წინაპრის ყოველი ქმნილების არა მარტო შემოქმედებითი ისტორია, არა მარტო ყოველი სტრიქონი, ყოველი სიტყვა, არამედ გენიალური პოეტის მიერ დასმული ყოველი სასვენი ნიშანიც კი.

პრესაში ამას წინათ გაჩნდა ცნობა, რომ მზადდება ა. პუშკინის თხზულებათა ახალი 30-ტომიანი აკადემიური გამოცემა. როგორც ცნობილია, დღემდე პუშკინის თხზულებათა ყველაზე სრულ კრებულად ითვლება 1937-49 წლებში განხორციელებული 16-ტომიანი დიდი აკადემიური გამოცემა (ყველა დანარჩენი შემდეგდროინდელი კრებულები მეტ-ნაკლებად ამ უკანასკნელზეა დამოკიდებული). მაშ, რის ხარჯზე ხდება რუსეთის უდიდესი პოეტის ახალი აკადემიური გამოცემის ერთიორად ვაზრდა? ცხადია, საბჭოთა ტექსტოლოგიის მეცნიერების ახალ მოთხოვნათა ხარჯზე, პუშკინისტთა არაერთი თაობის მიერ წლების მანძილზე გაწეული ხანგრძლივი შრომით მიღებული კოლოსალური შედეგების შეჯამების საფუძველზე!

უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის ტ. შევჩენკოს სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტმა მოამზადა ივანე ფრანკოს თხზულებათა 50-ტომიანი მეცნიერულ-კრიტიკული გამოცემა (ჯერჯერობით გამოცემულია 24 ტომი), აგრეთვე მკითხველებს მიაწოდა ივანე კოტლიარევსკის ნაწერების კრებული. ამას გარდა, უკრაინელმა ტექსტოლოგებმა მოამზადეს და მალე შეუდგებიან პავლო ტიჩინას 15-ტომეულისა და მაქსიმ რილსკის 20-ტომეულის გამოცემას, ხოლო მომავალი ხუთწლედიდან უკვე დაგეგმილი აქვთ გამოუშვან ტარას შევჩენკოს თხზულებათა ახალი აკადემიური გამოცემა.

მოძმე სომხეთში უკანასკნელ წლებში ზედიზედ გამოვიდა სომეხ კლასიკოსთა — აკოფ პარონიანის (11 ტომად), ღლიშე ჩარენცის (6 ტომად, მალე გამოვა დამატებითი მეშვიდე ტომი), დერენიკ დემირჩიანის (14 ტომად, უკვე გამოიცა 4 ტომი) და სხვათა მრავალტომეული აკადემიური გამოცემები, რომელთაც სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის მ. აბეღიანის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტი ხელმძღვანელობს. ახლა მიმდინარეობს გაცხოველებული მზადება მიქაელ ნალბანდიანის (6 ტომად), ოვანეს თუმანიანისა და ავეტიქ ისააკიანის ათტომეულების აკადემიური გამოცემისათვის.

ამჟამად მოსკოვისა და ლენინგრადის სახელგანთქმულ ტექსტოლოგთა გაერთიანებული ძალებით მიმდინარეობს სამი დიდი კლასიკოსის — დოსტოევსკის, ჩეხოვისა და ტურგენევის 30-ტომიანი ახალი აკადემიური გამოცემების მომზადება, რომლებიც მაღალ მეცნიერულ დონეზე ხორციელდება.

აღარაფერს ვამბობთ მაქსიმ გორკის ინიციატივით სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიასთან ჯერ კიდევ 30-იან წლებში დაარსებულ „ლიტერატურნოე ნასლედსტვოსა" და „ლიტერატურნიე პამიატნიკის" სერიებზე, რომელთა დღემდე გამოცემულ ათეულობით ტომებში არაერთ ბრწყინვალე ჩანაფიქრს შეესხა ხორცი და რუსული კლასიკური ლიტერატურის ბევრი პირველხარისხოვანი ძეგლი შესანიშნავი ტექსტოლოგიური აპარატითურთ სწორედ ამ სერიების წყალობით ეღირსა მზის სინათლეს. დიდი ხანი არ არის, რაც გამოიცა ტარას შევჩენკოს და მიხეილ ლერმონტოვის ენციკლოპედიები. რუსი, უკრაინელი და ბელორუსი ლიტერატურათმცოდნენი ანალოგიურ ენციკლოპედიებს სხვა კლასიკოსებზეც ამზადებენ.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ ჩვენთან? **პირდაპირ უნდა ვაღიაროთ, რომ ქართველ კლასიკოსთა აკადემიური გამოცემის საქმეში ჩვენ საგრძნობლად ჩამოვრჩებით საერთო საკავშირო დონეს.**

კარგა ხანია (უკვე თითქმის რამდენიმე წელია!) მკითხველს აღარ უნახავს ალ. ჭავჭავაძის, გრ. ორბელიანის, ილიას, აკაკის, ვაჟას, ალ. ყაზბეგის, დ. კლდიაშვილის და სხვა კლასიკოსთა აკადემიური გამოცემები. მაგალითად, გრ. ორბელიანის ეპისტოლარული მემკვიდრეობის სანიმუშო მეცნიერული გამოცემის (ა. გაწერელიას რედაქციით, ტ. I-II, 1936-37წ.წ.) წამოწყებიდან ორმოც წელზე მეტი გავიდა და ეს საქმე დღემდე მაინც არ არის ბოლომდე მიყვანილი. ხელმიუწვდომელი გახდა ივანე მაჩაბლის კლასიკური თარგმანები და, საერთოდ, მისი შემოქმედებითი მემკვიდრეობა ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ თავმოყრილი. დღემდე ვალდ გვაძევს გიორგი ლეონიძის მხატვრული და მეცნიერული ნაზრევის სრული გამომზეურება და ა. შ. ჩვენ საგანგებოდ ხაზს ვუსვამთ ფუნდამენტურ ტექსტოლოგიურ კვლევა-ძიებაზე დამყარებულ ქართველ კლასიკოსთა აკადემიური გამოცემების ჩამორჩენილობას და მხედველობაში არა გვაქვს მასობრივ-პოპულარული პუბლიკაციები. თუმცა არც ამ უკანასკნელით ვართ მაინცდამაინც დიდად განებივრებულნი. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ტექსტოლოგიის განყოფილებაში წლების მანძილზე გამოსაცემად მომზადებულია და დაბეჭდვას ელის: შ. არაგვისპირელი (3 ტომად), ზ. ანტონოვი (1 ტომად), ე. გაბაშვილი (3 ტომად), ბაჩანა (2 ტომად), ა. ერისთავ-ხოშტარია (4 ტომად), გ. ერისთავი (1 ტომად), რ. ერისთავი (4 ტომად), ი. ევდოშვილი (4 ტომად), დ. კლდიაშვილი (3 ტომად), შ. მღვიმელი (2 ტომად), ს. მგალობლიშვილი (5 ტომად), ნ. ლომოური (2 ტომად), ჭ. ლომთათიძე (2 ტომად), ნ. ნაკაშიძე (3 ტომად), ე. ნინოშვილი (2 ტომად), თ. რაზიკაშვილი (3 ტომად), გ. ქუჩიშვილი (3 ტომად), გ. წერეთელი (12 ტომად), ქ. მაყაშვილი (3 ტომად), ვ. გაფრინდაშვილი (2 ტომად), ალ. ორბელიანი (3 ტომად) და სხვ.

ილია ჭავჭავაძის დაბადების 140 წლისთავის საიუბილეო დღეებში მთავრობის კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება მწერლის თხზულებათა ახალი აკადემიური გამოცემის მოსამზადებლად იმ ვარაუდით, რომ აღნიშნული წამოწყება დამთავრდეს ილიას დაბადების 150 წლისთავისათვის, ესე იგი 1987 წლისთვის. ამ დიდი ეროვნული საქმის შესრულების მეტად საპატიო და პასუხსაგები მისია დაეკისრა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტს. შეიქმნა სარედაქციო კოლეგია, რომელშიც შევიდნენ სახელმოხვეჭილი ქართველი მეცნიერები, მწერლები, ტექსტოლოგი სპეციალისტები. უკვე სასტამბოდ არის გამზადებული ილიას თხზულებათა პირველი ორი ტომი, თითქმის ბოლომდე არის მიყვანილი 10 ტომის მომზადება, დანარჩენი ტომების მომზადება (საბოლოოდ 20 ტომს შეადგენს) უახლოეს წლებში დამთავრდება. ამას გარდა, გამოცემის ოცტომეულს ორ ტომად დაერთვის საცნობარო-ბიბლიოგრაფიული აპარატი, ხელნაწერთა აღწერილობა, მწერლის ფოტოქრონიკა). ახლა დგას მისი გამოცემის საკითხი.

ამასთან დაკავშირებით უკვე კარგა ხანია დადგა დრო, საბოლოოდ გადაიჭრას ერთი ფრიად **საჭირბოროტო საკითხი: ქართველ კლასიკოსთა აკადემიური გამოცემა თავისი პროფილით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა „მეცნიერების" საქმეა და იგი მას უნდა დაეკისროს,** როგორც ამას სსრკ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა „ნაუკა" შვრება რუს კლასიკოსთა აკადემიური გამოცემისას. მით უმეტეს, რომ გამომცემლობა „მეცნიერების" დღევანდელი დონე და მისი შესანიშნავი პოლიგრაფიული ბაზა ამ საკითხის მოგვარების საიმედო გარანტიას იძლევა. „საბჭოთა საქართველო" კი „ხუდოჟესტვენნაია ლიტერატურას" მსგავსად აკადემიურ გამოცემათა საფუძველზე გამოსცემს ქართველ კლასიკოსთა მასობრივ-პოპულარულ მრავალტომეულებს. ამით გამომცემლობა „მეცნიერებაც" მოიგებს და „საბჭოთა საქართველოც" თავისი პროფილით განსაზღვრული გამოცემების საქმეს გაიადვილებს.

შ. ძიძიგური,
აკადემიკოსი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი.

ალ. ბარამიძე,
აკადემიკოსი, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი.

გ. შარაძე,
პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ტექსტოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი.

რედაქციამ მეცნიერთა წერილი „ნუ გადავდებთ ეროვნულ საქმეს" გააცნო საქართველოს სსრ გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს ელგუჯა მაღრაძეს და სთხოვა, თავისი აზრი გამოეთქვა წერილში დასმულ საკითხებზე.

საშური და საშვილიშვილო

ლიტერატურის გამოცემის დაგეგმვა, საგამომცემლო საქმის ეს ძალზე რთული და პასუხსაგები უბანი, ჩვენი მუდმივი ყურადღების ცენტრშია. ორი ათასამდე წიგნი და ბროშურა, რესპუბლიკაში ყოველწლიურად რომ გამოდის, პროფილის, მკითხველთა რაოდენობისა და რაც მთავარია, თემის აქტუალობის მიხედვით ნაწილდება თემატურ გეგმებში. რაც უფრო მრავალფეროვანია თემატური გეგმა, მით უფრო ბევრი მკითხველი ჰყავს ამა თუ იმ გამომცემლობის წიგნადს პროდუქციას. მკითხველის შემოკრება, მისი აღზრდა ხომ თითოეული გამომცემლობის კეთილშობილური მოვალეობაა. დიდ ყურადღებას ვაქცევთ აგრეთვე გამოსაცემი ლიტერატურის დარგებს შორის პროპორციების დაცვას. ამ ღონისძიების გონივრული განხორციელებით თავიდან ვიცილებთ ხელოვნური ლიტერატურის მოძალებას და თემატურ გეგმებში ადგილი ეთმობა იმ ლიტერატურის გამოცემას, რომელიც მშრომელთა მასებში აღვივებს სოციალისტური სამშობლოსათვის თავდადებისა და ერთგულების გრძნობას.

ამჟამად მთელი ჩვენი საგამომცემლო მოცულობის თითქმის ორმოცდახუთი პროცენტი მხატვრულ და საბავშვო ლიტერატურას უკავია. ეს არის თანამედროვე და კლასიკური ლიტერატურის ნიმუშები, რომლებიც სისტემატურად იბეჭდება ქართულ, რუსულ, აფხაზურ, ოსურ და სომხურ ენებზე, ხოლო ცალკეული გამოცემები ხორციელდება ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ და ესპანურ ენებზე. თემატურ გეგმებში ჯეროვანი ადგილი უჭირავს აგრეთვე როგორც კლასიკური, ისე თანამედროვე მწერალთა თხზულებების კრებულებს.

სწავლულ მეცნიერთა ამ წერილის მიზანია გავიზიაროთ და გადავწყვიტოთ კიდეც ერთი მეტად მტკივნეული საკითხი, სახელდობრ, კლასიკური მემკვიდრეობის გამოცემის საკითხი. ჩვენ ხშირად გვისაყვედურებენ, რომ ვალში ვართ ჩვენი კლასიკოსების წინაშე, რომ ვერ ვაკმაყოფილებთ მკითხველთა გაზრდილ მოთხოვნებს. ვაღიარებთ, რომ ვალში ვართ. მაგრამ ვალიც არის და ვალიც. ამის საილუსტრაციოდ უნდა მოვიყვანო იმის ზოგიერთი მაჩვენებელი, თუ რა გაკეთდა ამ მიმართულებით უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში.

შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი" (მხოლოდ ქართულ ენაზე, ჩვენთან და უცხოეთის ბაზებზე) გამოცემულია 24-ჯერ, ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებები 25-ჯერ, მათ შორის არის ილიას თხზულებათა ათტომეული. მომავალ წელს „მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკის" სერიით გამოვა ილიას რჩეული 50 ათასი ტირაჟით. აკაკი წერეთლის ნაწარმოებები გამოიცა 25-ჯერ, მათ შორის არის აკაკის თხზულებათა სრული კრებული 15 ტომად. 1980 წელს „მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკის სერიით" დაიბეჭდა აკაკის რჩეული 50 ათასი ცალი ტირაჟით. 1984 წლისათვის დაგეგმილია (რუსულ ენაზე) აკაკის თხზულებათა ორტომეულის გამოცემა. ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებები გამოიცა 30-ჯერ. მათ შორის, 1961 წელს ხუთტომეული, 1964 წელს — ათტომეული, ხოლო 1979 წელს — ორტომეული. 1984 წელს გათვალისწინებულია ვაჟას რჩეულის გამოცემა 50 ათასი ცალი ტირაჟით. სხვადასხვა დროს დიდი ტირაჟით გამოვიდა სულხან-საბა ორბელიანის, დ. გურამიშვილის, ნ. ბარათაშვილის, ღ. კლდიაშვილის, ალ. ყაზბეგის, ვ. ბარნოვის თხზულებათა კრებულები. 1981 წელს საზღვარგარეთის ბაზაზე დავბეჭდეთ დ. გურამიშვილის „დავითიანი" და ფერადი ფოტო-პოემა „მრუდის საწუთროს ტრიალი".

მნიშვნელოვან მოვლენად უნდა ჩაითვალოს ქართველი ერის კულტურულ ცხოვრებაში ქართული პოეზიის 17-ტომეულის (დღეისათვის მკითხველს მიღებული აქვს 12 ტომი) და ქართული პროზის 30-ტომეულის გამოცემა. აქვე უნდა დავძინო, რომ ქართული პროზის თითოეული ტომის ტირაჟი 100000 ეგზემპლარია. ასეთი ტირაჟით ჩვენს რესპუბლიკაში ჯერ არც ერთი კრებული არ გამოცემულა. 1983 წელს დაიწყება ქართული პოემის ხუთტომეულის გამოცემა.

ეს რაც შეეხება ჩვენი შორეული და არცთუ შორეული მხატვრული სიტყვის ოსტატების თხზულებათა კრებულებს. მაგრამ ჩვენ თანამედროვე კლასიკოსებსაც ხომ უნდა დავუთმოთ ჯეროვანი ადგილი ჩვენს სულიერ საგანძურში? გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ" 1975 წ. დაამთავრა გალაკტიონის 12-ტომეულის გამოცემა და მიმდინარე წელს გამოსცა გ. ტაბიძის „რჩეული" ქართულ ენაზე 60 ათასი ტირაჟით, ხოლო რუსულ ენაზე — მისივე ლექსების ორი „რჩეული", შესაბამისად 3 და 5 ათასი ტირაჟით — „მერანმა". ამავე გამომცემლობამ გამოსცა ქართულ ენაზე 80 ათასი ტირაჟით გ. ტაბიძის ლექსები. ქართული პოეზიის სერიის მე-13 ტომი მთლიანად გ. ტაბიძის ლექსებს დაეთმო (გამომცემლობა „ნაკადული"). მკითხველმა უკვე მიიღო მ. ჯავახიშვილის 6-ტომეული, ნ. ლორთქიფანიძის 4-ტომეული, შ. დადიანის 5-ტომეული, ლ. ქიაჩელის 4-ტომეული, კ. გამსახურდიას 8-ტომეული (რუსულ ენაზე), მალე გამოიცემა კ. გამსახურდიას 10-ტომეულის მე-7 ტომი, ი. გრიშაშვილის 5-ტომეულის მეორე ტომი, ს. ჩიქოვანის 4-ტომეულის მე-3-4 ტომები, ლ. გოთუას 6-ტომეულის ბოლო ტომი და ა. შ. უახლოეს ხანში დაიწყება ლ. ქიაჩელის, ს. შანშიაშვილისა და სხვათა ტომეულების გამოცემა. გამოსაცემია აგრეთვე თანამედროვე მწერალთა თხზულებების კრებულებიც. როდესაც ლიტერატურის გამოცემის პროპორციებზე ვლაპარაკობთ, სწორედ ეს საკითხია მთავარი, კლასიკური ლიტერატურის ნიმუშებთან ერთად მკითხველმა უნდა მიიღოს თანამედროვე მწერლების თხზულებათა კრებულებიც.

ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, ვალი მაინც გვაძევს. გვაპატიოს მკითხველმა, თუ ზოგიერთი ტომეულის გამოსვლა იგვიანებს, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ შეფერხება, როგორც იტყვიან, მხოლოდ „ობიექტური მიზეზებით" ხდება.

ჩვენ გამომცემლები, ყველაზე მეტად ვგრძნობთ მკითხველთა კულტურულ აღმავლობასა და მათს ინტერესებს. რაც დრო გადის, მით უფრო იზრდება წიგნზე და წიგნის მიმართ მოთხოვნები. ახლა მკითხველს აღარ აინტერესებს მწერლის მარტო თხზულება, იგი მოითხოვს იმ ლაბორატორიის ჩვენებას, სადაც იბადებოდა და მხატვრულ ნიმუშად ყალიბდებოდა თვით ნაწარმოები. სწავლულთა და მკითხველთა გარკვეულ წრეებს აინტერესებთ ტექსტის ვარიანტი, წყაროები, შენიშვნები, ლექსიკონი, ავტორის შემოქმედების კრიტიკული შეფასება, მისი ბიოგრაფია, ბიბლიოგრაფია, წინათქმა, ბოლოთქმა... ვისთვისაც ძვირფასია ერის ინტელექტუალური ზრდა, ყოველმხრივ უნდა შეუწყოს ხელი ამ სასიკეთო პროცესს. მაშასადამე, ფართო გზა უნდა დავუთმოთ თხზულებათა კრებულების აკადემიურ გამოცემებს. ჩვენ აგერ განვახორციელეთ რამდენიმე აკადემიური გამოცემა. მაგრამ „რამდენიმე" დღეს აღარ გვაკმაყოფილებს. ამ საქმეს სისტემატურობა სჭირდება. უკვე მომწიფდა აზრი, რომ თხზულებათა კრებულები აკადემიურად უნდა გამოსცეს მეცნიერებათა აკადემიამ, იმ დაწესებულებამ, რომელმაც მოამზადა იგი და, დიდი ენერგია მოახმარა მის შედგენა-გამართვას.

ეს საკითხი სადღეისოდ მომწიფდა, და სასიხარულოა, რომ ამის თაობაზე ხმა აღიმაღლეს თვითონ მეცნიერებმა. მათ გამოთქვეს მოსაზრება, რომ ქართველ კლასიკოსთა აკადემიური გამოცემები თავისი პროფილით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობას („მეცნიერებას") უნდა დაეკისროს, როგორც ამას საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა „ნაუკა" აკეთებს. სრული ჭეშმარიტებაა! ჩვენი მხრივ დავძენთ, რომ ამ საქმის სასიკეთო გარანტიაა გამომცემლობა „მეცნიერების" კოლექტივის დღევანდელი პროფესიულ-მეცნიერული დონე და შესანიშნავი პოლიგრაფიული ბაზა, რაც მთავარია, მზადყოფნა შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის შემოქმედებითი კოლექტივისა, რომელიც ამ საქმეს ჩაუდგება სათავეში და უხელმძღვანელებს.

ეს იმ მხრივაც იქნება გამართლებული, რომ გამომცემლობები „მერანი" და „საბჭოთა საქართველო", რომლებიც ქართველ კლასიკოსთა და თანამედროვე მწერლების თხზულებათა მრავალტომეულებს მასობრივი მკითხველისათვის გამოსცემენ, მეტად გადატვირთული არიან და ვერ უზრუნველყოფენ პარალელურად კლასიკოსთა აკადემიური გამოცემების განხორციელებას დადგენილ ვადებში.

ამ ღონისძიების განხორციელებით ერთხელ და სამუდამოდ მოწესრიგდება ქართველ კლასიკოსთა აკადემიური გამოცემის საქმე და მკითხველი მიიღებს ყოვლისმომცველ გამოცემებს. ეს საშური და საშვილიშვილო საკითხი უნდა გადაწყდეს რაც შეიძლება მალე და იმგვარად, როგორც მას ჩვენი სწავლულები მოითხოვენ, როგორც ჩვენ მოძმე რესპუბლიკებში ხორციელდება. საქართველოს სსრ გამსახკომი თავის მხრივ მზად არის ამ მართლაც დიდ, ეროვნულ საქმეში ძალისხმევით მონაწილეობა მიიღოს სიტყვითაც და საქმითაც.

ე. მაღრაძე,
საქართველოს სსრ გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.

კითხვა უპასუხოდ არ უნდა დარჩეს

.....ჩვენ მზად ვართ პასუხი გავცეთ ყოველგვარ კითხვებზე, რომლებიც საბჭოთა ადამიანებს ებადებათ" — ითქვა სკპ XXVI ყრილობაზე. „პროპაგანდა გვერდს არ უნდა უვლიდეს მწვავე თემებს, — აღინიშნა ყრილობაზე, — არ უნდა ეშინოდეს ეგრეთ წოდებული ძნელი საკითხების წამოჭრისა". სწორედ ასეთი მიდგომით არის ნაკარნახევი ახალი რუბრიკა, რომელსაც გაუძღვებიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივი აზრის შესწავლის, ფორმირებისა და პროგნოზირების ცენტრი და საქართველოს საინფორმაციო სააგენტოს ჟურნალისტები.

ამ რუბრიკას რამდენიმე მიზანი აქვს და მათგან მთავარია საზოგადოებრივი დიალოგის გაფართოება, მასში რაც შეიძლება მეტი მოქალაქის მონაწილეობა, რაც პირდაპირ შეესაბამება განვითარებული სოციალიზმის საზოგადოების პრინციპებს და ამოცანებს. ცნობილი ლენინური დებულება იმის შესახებ, რომ სახელმწიფო ძლიერია მასების შეგნებით, გულისხმობს მასების ყოველმხრივ ინფორმირებას, მათ შორის სოციალური განვითარების სერიოზული, ძნელი პრობლემების შესახებაც. რატომ წამოიჭრება ისინი? როგორ ვითვალისწინებთ მათ? რანაირად წყდება? თუ ეს ეცოდინებათ, მშრომელები გაზრდიან პარტიული, სახელმწიფო, სამეურნეო ორგანოების იმ ღონისძიებაში თავიანთი უშუალო მონაწილეობის წილს, რომლებიც ხორციელდება წამოჭრილ სიძნელეთა დაძლევისათვის.

რამდენიმე სიტყვა თვით კითხვების, ცენტრში მათი მიღების არხების შესახებ. ეს, უმთავრესად, არის მშრომელთა წერილები, კითხვები, რომლებსაც ისინი სვამენ ლექციების, საუბრების, შეხვედრების დროს, ცენტრის სპეციალისტთა მიერ მოწყობილი მოსახლეობის შერჩევითი გამოკითხვები. კითხვებზე კი უპასუხებენ კომპეტენტური პირები — სამინისტროების, უწყებების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელები, თვალსაჩინო სპეციალისტები.

ვთავაზობთ „კითხვა უპასუხოდ არ უნდა დარჩეს" რუბრიკის მასალების პირველ შენარჩევს.

1. საკვებისა და საძოვრების მუდმივი დეფიციტის პირობებში როგორ განვახორციელოთ სოფლად მოწოდება: „არც ერთი კომლი — უფუროდ!"

გვიპასუხებს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ნ. გოდაბრელიძე:

— საკითხი მართლზომიერი, ძნელია, მაგრამ მისი გადაწყვეტა შეიძლება. აი არგუმენტი: 1979 წელს პირუტყვის მოვლა-შენახვისათვის გამოიყო 65 ათასი ტონა კომბინირებული საკვები. წელს, 1982 წელს კი, თითქმის ერთიორად მეტი: 122 ათასი ტონა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საქმე გვაქვს მნიშვნელოვანი ზრდის ტენდენციასთან.

მაგრამ პირდაპირ უნდა ითქვას: ამ რაოდენობის საკვები საკმარისია მხოლოდ პირუტყვის მთელი სულადობის ნახევრისათვის. კომბინირებული საკვების წარმოება სულ უფრო გაიზრდება, მაგრამ მარტო ამის იმედით ყოფნის უფლება არა გვაქვს.

საზოგადოებრიობა დაინტერესებულია,

საზოგადოებრიობა გვეკითხება

სამინისტრო ხედავს და იყენებს ამ მწვავე პრობლემის გადაწყვეტის ორ გზას.

პირველი — ეს არის საზოგადოებრივი და პირადი მეურნეობების კოოპერირება, რომელიც ამ უკანასკნელთ შესაძლებლობას აძლევს დადონ პირუტყვის შესყიდვის ხელშეკრულებანი, გამოიყენონ მიწათმოქმედებისათვის უვარგისი სავარგულები საკვების საწარმოებლად და საძოვრებად, გაასაღონ სოფლის მეურნეობის და მეცხოველეობის ნამეტი პროდუქცია.

მეორე — საკვებწარმოების ინტენსიფიკაცია და საძოვრების გამოყენების გაუმჯობესება. ამ სამუშაოთა მეცნიერულად დასაბუთებული და მატერიალურ-ტექნიკურად უზრუნველყოფილი პროგრამა რესპუბლიკაში სწრაფი ტემპით ხორციელდება. წარმოებს სამუშაოები, რომელთა მიზანია დიდი კავკასიონის ქედის ფერდობებზე არსებული ბუნებრივი საძოვრების მაქსიმალური ათვისება, ღრმავდება მაღალრენტაბელური საკვებწარმოებისა და ეკონომიკურად სუსტი, ჯერჯერობით ჩამორჩენილი რაიონების კოოპერირება.

პროგრამას, რომლის არსი გამოხატულია მოწოდებით „არც ერთი კომლი — უფუროდ!" რეალური ეკონომიკური საფუძველი აქვს.

2. რატომ ხდება, რომ თბილისის ზოგიერთ უბანში საღამოს გაძნელებულია პურის ყიდვა?

გვიპასუხებს საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრის პირველი მოადგილე შ. ლუხუტაშვილი:

ეს მართლაც ასეა: ზოგიერთ რაიონში მოსახლეობის პურფუნთუშეულით მომარაგებაში შეფერხებები ერთეული შემთხვევა როდია. ამის მიზეზი ის კი არ არის, რომ პროდუქცია არ გვყოფნის, არამედ სავაჭრო ქსელის ცუდი მუშაობა. მაღაზიები ზოგჯერ გზავნიან განაცხადებს, რომლებსაც საფუძვლად არ უდევს მოსახლეობის რეალური მოთხოვნა, პურს უბრუნებენ პურის საცხობ საწარმოებს დაბრუნების მიზეზების მიუთითებლად, რითაც ცდილობენ თავიდან აიცილონ ეგრეთ წოდებული გარდამავალი ნაშთების წარმოქმნა. ისინი ასევე წინასწარი კორექტირების გარეშე ამცირებენ განაცხადებს ან უარსაც ამბობენ პურის მიღებაზე.

გაითვალისწინა რა ყოველივე ეს, კვების მრეწველობის სამინისტრომ დაამტკიცა სავაჭრო ქსელში პურფუნთუშეულის შეტანის ახალი გრაფიკი, რომლითაც გათვალისწინებულია პურის ქარხნებისადმი მაღაზიების რაიონული მიმაგრება. ამავე გრაფიკით პურის ღამით შეზიდვა 38 პროცენტით გაიზარდა.

3. ავტომაღაზიაში გაქრა „ჟიგულის" საბურავები. როგორ შოულობენ მათ სპეკულანტები?

გვიპასუხებს საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის პირველი მოადგილე მ. ჟუმბურიძე:

— რა დასამალია: სავაჭრო ორგანიზაციები მართლაც განიცდიან მნიშვნელოვან სიძნელეებს „ჟიგულის" მფლობელთა ავტოსაბურავებით მომარაგებაში. ამ პირობებში განსაკუთრებით ძლიერ იჩენს ხოლმე თავს ის, რომ სათანადო წესრიგი არ არის ვაჭრობის ორგანიზაციაში. ამას რამდენიმე მიზეზი აქვს და მთავარი ის არის, რომ მიწოდება მკვეთრად ჩამორჩება მოთხოვნას. „ჟიგულის" ავტომობილების მიწოდება წლითიწლობით იზრდება, განაცხადები ავტოსაბურავებზე კი მხოლოდ 40 პროცენტით კმაყოფილდება.

დეფიციტის ლიკვიდაციისა და სპეკულაციის ფაქტების აღმოფხვრისათვის საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ავტოინსპექციის სამმართველოსთან ერთად ამუშავებს ავტოსაბურავების ლიმიტირებული გაყიდვის წესს.

4. როგორ გგონიათ, დაჯავშნული კარები იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ბინები ცუდად არის დაცული ქურდებისაგან?

გვიპასუხებს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი გ. გვეტაძე:

— ვისაც სურს თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით დაიცვას ბინა, შეუძლია ამ დახმარების მიღება. უკვე რამდენიმე წელია წარმატებით მოქმედებს სპეციალური სისტემა, რომელიც მთლიანად გამორიცხავს არასასურველ პირთა ბინებში შეღწევას. დაცვითი სიგნალიზაციის პულტებზე მუდამ აკვირდებიან კარს, სარკმელებს, სურვილის შემთხვევაში კი კედლებსაც, ჭერსაც, იატაკსაც. პულტი იღებს სიგნალს ბინაში შეპარვის ყოველი ცდის შესახებ და მუდამ მზად არის სამოქმედოდ მილიციის სპეციალური ჯგუფი, რომელიც უმოკლეს დროში შემთხვევის ადგილზე გაჩნდება ხოლმე.

ამ სისტემის მომსახურებით ამჟამად სარგებლობს ათასობით ოჯახი, რომლებმაც ჯეროვნად დააფასეს, თუ რა უპირატესობა აქვს მას დაჯავშნულ კართან, სხვადასხვაგვარ რაზასთან და გისოსთან შედარებით.

რაც შეეხება ბინის ქურდებს, მათთან ბრძოლა არც ერთი წუთითაც არ ნელდება. უკანასკნელ ხანს სისხლის სამართლის სამძებრომ გააუვნებლა დამნაშავეთა რამდენიმე ჯგუფი, რამდენიმე მათგანის შესახებ საზოგადოებრიობას უკვე ვაცნობეთ. დანარჩენთა ამბავს უახლოეს დროში შევატყობინებთ.

5. რა მოუვიდა „დინამოს" — გვეკითხებიან მრავალი წერილის ავტორები, რომლებსაც აინტერესებთ თბილისის დინამოელთა თამაშის დონის დაქვეითების მიზეზები, წელს თავიანთი შესაძლებლობები სრულად რომ ვერ გამოავლინეს.

როგორც საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ რ. გოგოლიძემ გვითხრა, ამას წინათ გაიმართა ჟურნალისტთა შეხვედრა თბილისის „დინამოს" უფროს მწვრთნელთან ნ. ახალკაცთან, რომელმაც ყველა კითხვაზე უპასუხა. ამ შეხვედრის დაწვრილებითი ანგარიში გამოქვეყნდება.

ალბათ, დღეს გამოქვეყნებული ყველა პასუხი სრული ვერ არის. ზოგიერთ მათგანში ბოლომდე არ გაანალიზებულა საქმის ნამდვილი ვითარება, მთლად დამაჯერებლად ვერ არის გაშუქებული პრობლემათა ყველა ასპექტი.

თქვენ რას ფიქრობთ? გამოთქვით თქვენი მოსაზრებანი ამ საკითხებზე, გაგვიზიარეთ აზრები მათი გადაწყვეტის გზების შესახებ. რა საკითხები გაინტერესებთ?

მოგვწერეთ, დაგვირეკეთ, მოხმართდით საზოგადოებრივი აზრის შესწავლის ფორმირებისა და პროგნოზირების ცენტრში, რომელიც მდებარეობს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში. მისამართი: ქ. თბილისი, ძერჟინსკის 7.

ცენტრის ტელეფონი: 98-77-40, 98-72-84.
(საქინფორმი).

სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავის შესახვედრად

თემატიკური მრავალფეროვნება, მნიშვნელოვანი პრობლემები

ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო სესია

გაიმართა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მორიგი XXXVIII სამეცნიერო სესია, რომელიც ისტორიულ თარიღს — სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავს მიეძღვნა.

სესია გახსნა და შესავალი სიტყვა წარმოთქვა ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ქეთევან ლომთათიძემ, რომელმაც აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა კავშირის შექმნას კავკასიის მცირერიცხოვანი ერების, განსაკუთრებით, დამწერლობის არმქონე ერების კულტურულ-მეცნიერული განვითარებისათვის; ამის თვალსაჩინო დასტურია იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის დღევანდელი დონე და მასშტაბები.

სესიაზე მოხსენებები წაიკითხეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსებმა არნ. ჩიქობავამ და ქ. ლომთათიძემ, პროფესორებმა გ. ჯორბენაძემ, ა. კიზირიამ და ალ. მაჰომეტოვმა, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორებმა გ. ბურჭულაძემ და ო. კახაძემ, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატებმა გ. თოფურიამ, ალ. ჰინჭარაულმა, ლ. ენუქიძემ, ი. მელიქიშვილმა, გ. კვარაცხელიამ და გ. ბედოშვილმა.

აღსანიშნავია წარმოდგენილი მოხსენებების თემატიკური მრავალფეროვნება, დასმული პრობლემების მნიშვნელობა როგორც კერძო, გამოყენებითი, ისე ზოგადი, თეორიული ენათმეცნიერების თვალსაზრისით. მოხსენებები შეეხებოდა ქართულ, ქართველურ და მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა მდიდარ მონაცემებს, მათში დასმული იყო უძველეს ენობრივ შრეებთან, ისტორიულ მორფოლოგიასთან დაკავშირებული საკითხები, ასევე საინტერესოდ იყო წარმოდგენილი აქტუალური პრობლემები სინტაქსისა და ფუნქციონალური სტილისტიკის სფეროდან და სხვა.

ენათმეცნიერთა მორიგ შეკრებაზე ცხოველი აზრთა გაზიარება გაიმართა. დასასრულ, სამეცნიერო სესიის მუშაობის შედეგები შეაჯამა აკადემიკოსმა ქ. ლომთათიძემ.

ა. არაბული,
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.

ექსპონატები გვაცნობენ

სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გაიხსნა სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი ახალი ექსპოზიცია. აქ წარმოდგენილია მასალები, რომლებიც ასახავენ მთის მხარის წარსულსა და აწმყოს, იმ უდიდეს გარდაქმნებს, რომლებიც ავტონომიური ოლქის ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში მოხდა საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე.

ყველაზე თვალსაჩინო ადგილზეა ლამაზი, ეროვნულ სტილში ნაქსოვი ხალიჩა ვ. ი. ლენინის გამოსახულებით, მისი თანამებრძოლების — მგზნებარე რევოლუციონერების, გამოჩენილი ოსი და ქართველი ბოლშევიკების ფოტოსურათები. ექსპოზიციის ცენტრშია საბჭოების პირველი სრულიად საკავშირო ყრილობის მიერ მიღებული დეკლარაცია და ხელშეკრულება სსრ კავშირის შექმნის შესახებ.

მუზეუმის დამთვალიერებლები დიდი ინტერესით ეცნობიან დოკუმენტებს, რომლებიც პირველად არის გამოფენილი. ფოტოსურათზეა სამხრეთ ოსეთის მრეწველობის პირმშო — გრეხილი ავეჯის ფაბრიკა და მისი დღევანდელი ინდუსტრიის სიამაყე — ქარხანა „ელექტროვიბრომანქანა", რომლის პროდუქციას იყენებენ „ბამზე", „ატომმანქანაში", კამის საავტომობილო ქარხანაში, უგზავნიან საზღვარგარეთის ოცზე მეტ ქვეყანას. ექსპონატები ასახავენ ახალი სიმძლავრეების მშენებლობის, არსებული საწარმოების რეკონსტრუქციის, მათ შორის კვაისის ტყვია-თუთიის მადაროთსამმართველოს, წნელისის „საქტალკის" საწარმოს რეკონსტრუქციის ფართო მასშტაბს. აქვეა ფოტოდოკუმენტები ცხინვალ-ჯავის გზაზე მიმავალი ელიდან ცხინვალ-ალაგირის საავტომობილო მაგისტრალამდე, რომლის უნიკალური გვირაბი გაყვანილია კავკასიონის მთავარ ქედში.

გამოფენაზე წარმოდგენილია დოკუმენტები, რომლებიც ასახავენ გრანდიოზულ გარდაქმნებს სოფლად — პირველი ტრაქტორით დაწყებული და მექანიზატორთა მაღალკვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებული მძლავრი სატრაქტორო პარკით დამთავრებული. ახლა ავტონომიური ოლქის მეურნეობებში მუშაობს სხვადასხვა მარკის 400-მდე ტრაქტორი, 60 კომბაინი, 430 სატვირთო ავტომანქანა და ა. შ.

გამოფენაზე წარმოდგენილი ექსპონატები დამაჯერებლად მოგვითხრობენ სამხრეთ ოსეთის მეცნიერებისა და კულტურის სწრაფ განვითარებაზე. თუ რევოლუციამდე აქ თითქმის არ ჰყოლიათ მეცნიერი მუშაკები, დღეს ავტონომიურ ოლქში დაახლოებით 90 მეცნიერებათა დოქტორი და კანდიდატი მუშაობს.

გამოფენის თითოეული ექსპონატი ნათლად ასახავს ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვებას, მოწმობს უანგარო დახმარებას, რასაც დიდი რუსი, მოძმე ქართველი და საბჭოეთის სხვა ხალხები უწევენ სამხრეთ ოსეთს მისი ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში.

შრომაშიც, დღესასწაულზეც — ერთად

ცაში აფრინდა საჰაერო ბურთების გირლიანდები, რომლებსაც აწერია ციფრი „60". ტრიბუნის წინ წითელ-ყვითელი ყვავილების ფურცლებივით გაიშალა უამრავი მარაო. მათ შორის აღმართულ პირამიდაზე ალისფერი დროშა აფრიალდა.

ასე დაიწყო თხუთმეტი მოკავშირე რესპუბლიკის დროშებით მორთულ გულრიფშის რაიონის სოფელ ბაბუშარის იპოდრომზე მეგობრობის, სიმღერისა და სპორტის დღესასწაული, რომელიც მიეძღვნა სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავს. ზეიმზე მოვიდნენ შრომის გმირები, რაიონის სახელოვანი ადამიანები და მათი მეგობრები, სოციალისტურ შეჯიბრებაში მათი მეტოქენი — აჭარის ასსრ ქედის რაიონიდან ჩამოსული სტუმრები.

...ნორჩ ცხენოსნებს სცვლიან ტანმოვარჯიშეები და მოკრივეები. სცენაზე გაისმის ფიცხელი „მოლდავენიასკა", რომელსაც ასრულებს თბილისში ბავშვთა შემოქმედების რესპუბლიკური დათვალიერების პრიზიორი — ესტონეთის რვაწლიანი სკოლის მოსწავლეთა გუნდი. მქუხარე ტაშით შეხვდნენ მიწათმოქმედნი ცეკვას „განდაგანას", რომელიც შეასრულეს რაიონული კულტურის სახლის თვითმოქმედმა მსახიობებმა. და როგორც დღესასწაულის აპოთეოზი, ტრიბუნებიდან გაისმა მისი მონაწილეების მიერ შესრულებული სიმღერა „ვრცელია ჩემი სამშობლო". (საქინფორმი).

იოსებ ნონეშვილის რჩეული რუსულად



მოსკოვის გამომცემლობა „ხუდოჟესტვენნაია ლიტერატურამ" დაბეჭდა იოსებ ნონეშვილის „რჩეული". მასში შესულია პოეტის სხვადასხვა დროს შექმნილი ლექსები და პოემა „ამბავი ერთი ქალიშვილისა", რომლებიც თარგმნეს ცნობილმა რუსმა პოეტებმა ა. ტარკოვსკიმ, ა. მეჟიროვმა, ნ. ტიხონოვმა, ა. ვოზნესენსკიმ და სხვებმა.

წიგნს ერთვის ქართველი პოეტის პორტრეტი, შესრულებული ილია გლაზუნოვის მიერ და კრიტიკოს ლევ ოზეროვის სტატია „იოსებ ნონეშვილი და მისი პოეზია". წიგნის რედაქტორია ე. ჭალიაშვილი, მხატვრული რედაქტორი — ს. დანილოვი.

სიმღერად ქცეული ლექსები

არცთუ ისე დიდია ქართული საბჭოთა ეროვნული პოეზიის მთავართა ელიტა, რომელთა შორის იოსებ ნონეშვილის სახელი გამოირჩევა როგორც მოკაშკაშე ვარსკვლავი.

იგი საბჭოთა საქართველოს შოველინა არა მარტო დიდ პოეტად და ჭეშმარიტ მეხოტბედ, არამედ მან თანამედროვე ქართული ლექსის მნიშვნელობა კიდევ უფრო აღამაღლა, მიანიჭა მას ახალი მხატვრული ღირებულება.

იოსებ ნონეშვილი ქართულ პოეზიაში შემოიჭრა როგორც ახლისმთქმელი, შემქმნელი მრავალი პოეტური შედევრისა, რომლებიც ჩვენდა სასიხარულოდ, საბჭოთა ქართული ეროვნული ლიტერატურის კუთვნილებად გადაიქცა.

იოსებ ნონეშვილის ლექსით გაცისკროვნებულია მრავალი ქართული რომანსი, სიმღერა, მელოდია, რომლებიც თითქმის ყოველი ქართველის სახლ-კარს აი უკვე ორმოცი წელია ბედნიერების, ქორწინებისა და მრავალი ახალი წლის მეკვლედ ევლინება.

შესაშური იყო იოსების ადამიანური თვისებები. უნაზესი გრძნობით გამთბარმა პოეტის გულმა ბევრს უშველა, იგი დაეხმარა, გზა გაუკაფა არაერთ დამწყებ პოეტსა თუ ხელოვანს.

იოსები ჩვენი ქალარა და მარად ახალგაზრდა თბილისის, შეიძლება ითქვას, სრულიად საქართველოს კოლორიტული პიროვნება გახლდათ.

და დააკლდა საქართველოს კიდევ ერთი დიდი მეხოტბე, მისი ნამდვილი მომღერალი.

მეც დამაკლდა იოსები, რომლის პოეზიამ გაალამაზა ჩემი ბევრი შემოქმედებითი ნაფიქრალი. და ცოცხლობს ეს პოეზია, რომელსაც ანკარა წყაროსავით უამრავი თაყვანისმცემელი ეწაფება.

დავით თორაძე,
რესპუბლიკის სახალხო არტისტი, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.

8 დეკემბერი

საერთაშორისო ცხოვრება დედამიწის ზურგზე

საქდესისა და ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტები გვატყობინებენ

ფაქტები მოვლენები

ავლაგმოთ გამალებული შეიარაღება

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის, საბჭოთა კავშირის მარშლის დ. თ. უსტინოვის პასუხმა საქდესის კორესპონდენტის კითხვებზე დიდი გამოხმაურება გამოიწვია მსოფლიოში. საზღვარგარეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი ხაზს უსვამენ, რომ საბჭოთა კავშირი მხარს უჭერს გამალებული შეიარაღების ალაგმვის პრობლემების გადაწყვეტის ჯანსაღი, მხარეებისათვის მისაღები საფუძვლის ძიებას, ილაშქრებს სამხედრო მეტოქეობის წინააღმდეგ, მომხრეა თანასწორობისა და თანაბარი უშიშროების პრინციპის დაცვისა და ამავე დროს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი არ დაუშვას, რომ შეერთებულმა შტატებმა სამხედრო უპირატესობას მიაღწიოს.

სსრ კავშირი მოუწოდებს ამერიკის შეერთებულ შტატებს შეწყვიტოს გამალებული შეიარაღება, წერს ჩეხოსლოვაკიური „რუდე პრავო". საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრმა საკადრისი პასუხი გასცა რეიგანის ადმინისტრაციის ცდებს დაითესოს უნდობლობა განიარაღების საკითხებში საბჭოთა კავშირის პოზიციისადმი.

ბულგარული „რაბოტნიჩესკო დელო" ხაზს უსვამს, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნატოს აგრესიული წრეები აიძულებენ საბჭოთა კავშირს მოძმე სოციალისტურ ქვეყნებთან ერთად სერიოზულად იზრუნოს სათანადო დონეზე თავდაცვისუნარიანობის შენარჩუნებისათვის. ამავე დროს იგი სამხედრო მეტოქეობის წინააღმდეგია.

საბჭოთა კავშირი გამალებული შეიარაღების შეწყვეტის მომხრეა, აღნიშნავს პოლონური „ტრიბუნა ლუდუ". სსრ კავშირის სამხედრო პოტენციალს ძალუძს შეაკავოს უგუნური მილიტარისტები.

ვაშინგტონის სერიოზულ გაფრთხილებას უწოდებს კუბის საინფორმაციო სააგენტო პრენსა ლატინა საბჭოთა მინისტრის გამონათქვამს, რომ თუ საღი გონების საწინააღმდეგოდ თეთრი სახლის ახლანდელი ხელმძღვანელობა უგულებელყოფს სსრ კავშირის წინადადებებს და დაიწყებს „მქ" ტიპის რაკეტების განლაგებას, საბჭოთა კავშირი ამის პასუხად განალაგებს ამავე კლასის ახალ საკონტინენტთაშორისო ბალისტიკურ რაკეტებს, და რომ სსრ კავშირი, თუ საჭირო გახდა, შეძლებს ეფექტიანად და დროულად გასცეს პასუხი ვაშინგტონის სხვა მუქარასაც.

საქდესის სააგენტოსათვის მარშალ უსტინოვის მიერ მიცემული ინტერვიუ აღნიშნავს ბელგრადის გაზეთი „პოლიტიკა", საბჭოთა კავშირის სერიოზული გაფრთხილებაა შეერთებული შტატებისა და დასავლეთის მიმართ.

ამერიკის **იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის** საინფორმაციო სააგენტო გამოყოფს სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის დასკვნას, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე „მქ" ტიპის რაკეტების და დასავლეთ ევროპაში საშუალო სიშორის რაკეტების დაგეგმილი განლაგება არის ვაშინგტონის პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს ამჟამად არსებული სამხედრო წონასწორობის ლიკვიდაციას, გლობალური და რეგიონული მასშტაბით სსრ კავშირთან შედარებით უპირატესობის მიღწევას.

საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრმა, აღნიშნავს გაზეთი **„ვაშინგტონ პოსტი"**, ბრალად დასდო პრეზიდენტ რეიგანს, რომ მას შეცდომაში შეჰყავს საზოგადოებრიობა თავისი მტკიცებებით საბჭოთა კავშირის სამხედრო უპირატესობის შესახებ. ვან ხაზი გაუსვა, წერს შემდეგ გაზეთი, რომ „კომპაქტური ბაზირების" ხერხით „მქ" ტიპის რაკეტების განლაგება უხეშად დაარღვევს საბჭოთა კავშირ-ამერიკის მორიგებებს, რომლებიც აკავებს გამალებულ სტრატეგიულ შეიარაღებას. საბჭოთა მინისტრმა თქვა, რომ, თუ ამერიკის შეერთებული შტატები დაიწყებს „მ ქ" ტიპის რაკეტების განლაგებას, სსრ კავშირი პასუხად განალაგებს ანალოგიურ იარაღს, რომელიც არაფერში ჩამოუვარდება მათ. ამასთან მოსკოვმა კვლავ მოუწოდა განახორციელონ ერთობლივი შეთანხმებული ღონისძიებანი სამხედრო კონფრონტაციის დონეების შესამცირებლად.

ინგლისის **რეიტერის** საინფორმაციო სააგენტო აღნიშნავს: დ. თ. უსტინოვის გამონათქვამები ცხადყოფს მკაცრ გეზს შეიარაღების საკითხებში და ამერიკის შეერთებულ შტატებთან ურთიერთობაში. მოსკოვმა გააფრთხილა ვაშინგტონი, რომ იგი ამ დარგში დათმობაზე არ წავა.

საბჭოთა კავშირი გმობს ამერიკის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებას განალაგოს „მქ" ტიპის რაკეტები, აგრეთვე ღონისძიებებს, რომლებსაც ამერიკის შეერთებული შტატები ახორციელებს დასავლეთ ევროპის ნატოს წევრ ქვეყნებში საშუალო სიშორის რაკეტების განლაგებისათვის, აღნიშნავს ფრანგული **„კოტიდიენ დე პარი"**. სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრმა, ხაზს უსვამს საფრანგეთის მეორე გაზეთი **„ლიბერასიონი"**, სერიოზულად გააფრთხილა ამერიკის შეერთებული შტატები.

სისხლიან რეჟიმებზე დაყრდნობით

ნიუ-იორკი. კიდევ ერთი ნაბიჯი ცენტრალურ ამერიკაში რეაქციული რეჟიმებისათვის დახმარების გადიდების გზაზე — ასე დაახასიათა ლათინური ამერიკის მთელ რიგ ქვეყნებში პრეზიდენტ რეიგანის ხუთდღიანი მოგზაურობის შედეგები ამერიკის გაზეთმა „ნიუსდეიმ".

თეთრი სახლის მეთაურმა, ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი, ვიზიტის დროს დაადასტურა, რომ ვაშინგტონის ადმინისტრაციის პოლიტიკა ამ რეგიონში კვლავაც მიზნად ისახავს სუვერენული სახელმწიფოების საქმეებში ამერიკის შეერთებული შტატების ჩარევის გაფართოებას, ძირგამომთხრელი აქციების შემდგომ გააქტიურებას კუბისა და ნიკარაგუის წინააღმდეგ. პრეზიდენტმა აშკარად აგრძნობინა, რომ იმედი აქვს განაახლოს სამხედრო მიწოდება გვატემალის რეჟიმისათვის, ამ ქვეყანაში ადამიანის უფლებათა უხეში დარღვევების მიუხედავად. მშვიდობიანი მოსახლეობის მასობრივი ხოცვა, წამება და მთელი დაბების მოსპობა, აღნიშნავს გაზეთი, გვატემალაში ჩვეულებრივ მოვლენად იქცა.

ვაშინგტონი აპირებს აგრეთვე კიდევ უფრო გაუზარდოს სამხედრო და ეკონომიკური დახმარება სალვადორისა და ჰონდურასის სამხედრო დიქტატურებს.

მანაგუა. რეიგანის ვიზიტი რეგიონის რევოლუციური დემოკრატიული ძალების მიმართ ამერიკის შეერთებული შტატების ინტერვენციონისტული და აგრესიული კურსის კიდევ ერთი გამოვლინებაა, ხაზგასმულია ნუევა ნიკარაგუის სააგენტოს კომენტარში. რეიგანის პოლიტიკის მიზანია იარაღისა და ტერორის მეშვეობით დაიცვას ამერიკის მონოპოლიების ინტერესები მსოფლიოს ამ რაიონში.

ვაშინგტონი. გაზეთი „ბოსტონ გლობი" წერს: რეიგანის განცხადება ჰონდურასში იმას მოწმობს, რომ ვაშინგტონს განზრახული აქვს განაგრძოს ცენტრალურ ამერიკაში სამხედრო კონფლიქტის გაჩაღების კურსი. დასავლეთ ნახევარსფეროში ყველაზე რეპრესიული რეჟიმებისადმი ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის მხარდაჭერის პოლიტიკა, აღნიშნავს გაზეთი, ადასტურებს ვაშინგტონის პირფერობასა და ცინიზმს.

პარიზი. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ტურნე იმის კიდევ ერთი დადასტურებაა, რომ თეთრ სახლს განზრახული აქვს ამ რეგიონში განაგრძოს „დაშინება-დაყვავების" თავისი ტრადიციული პოლიტიკა, ხაზგასმით წერს „ლუმანიტე". მაგრამ აღნიშნავს გაზეთი, ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ ვაშინგტონი კარგავს თავის პოზიციებს ლათინურ ამერიკაში და მხოლოდ სისხლიან დიქტატორულ რეჟიმებს ეყრდნობა.

მოკლედ

ტელეტაიპის ლენტიდან

ჰავანა. კუბის ოლგინის პროვინციის ქალაქ პუნტა-გორდაში სწრაფად შენდება ხამთოგადამმუშავებელი კომბინატი, ეს საწარმო, რომელსაც სსრ კავშირის ტექნიკური ხელშეწყობით აგებენ, განაცხადა მშენებლობის დირექტორმა ხორხე რეკუელტამ, მშენებლობის დამთავრების შემდეგ 1985 წლის დამდეგს წელიწადში დაახლოებით 30 ათას ტონა ნიკელის კონცენტრატს გამოუშვებს.

ახლა 65 პროცენტით არის შესრულებული სამუშაოთა მოცულობა. ოთხი ათასი მშენებელი უკვე შეუდგა კომბინატის — ქვეყნის ამ ყველაზე დიდი მშენებლობის 262 ობიექტის დამონტაჟებას.

პარიზი. საფრანგეთის ეროვნულმა კრებამ პირველი წაკითხვით მიიღო კანონპროექტი შრომისა და პროფესიული სწავლების დარგში ქალისა და მამაკაცის თანასწორობის უზრუნველყოფის შესახებ. მემარცხენე პარტიების 327 დეპუტატმა ხმა მისცა კანონპროექტის მიღებას, არავის არ მიუცია ხმა „წინააღმდეგ". მემარჯვენე ოპოზიციამ თავი შეიკავა კენჭისყრისას.

ახალი კანონპროექტი ხაზს უსვამს, რომ შეუწყნარებელია ქალების მიმართ დისკრიმინაცია შრომითი მოწყობის დროს. იგი აგრეთვე აფართოებს მათს უფლებებს.

დამასკო. მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირზე გასამხედროებულ დასახლებათა შექმნის პარალელურად თელ-ავივი აჩქარებს ამგვარ დასახლებათა მშენებლობის ტემპს ღაზის სექტორშიც. ისრაელის სამხედრო ხელისუფალთა გადაწყვეტილებების შესაბამისად რამდენიმე სოფლის მცხოვრებლები აყარეს და გაასახლეს ჩრდილოეთის უკაცრიელ რაიონებში. არაბულ ნაგებობათა ადგილას აშენდება ისრაელთა კიდევ ოთხი გასამხედროებული დასახლება.

როგორც ვაფის სააგენტო იუწყება, ისრაელები, რომლებიც აქტიურად „ითვისებენ" არაბი მოსახლეობის კუთვნილ მიწებს, ისე იქცევიან, რომ არ აპირებენ აქედან წასვლას.

ნიუ-იორკი. ამერიკელთა დიდი უმრავლესობა მოითხოვს სამხედრო ხარჯების შემცირებას. ამას მოწმობს საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგები, რომელიც ლ. ჰარისის სამსახურმა მოაწყო. მისი შედეგების თანახმად, ამერიკელთა 61 პროცენტი უარყოფს „ამერიკის ხელახალი შეიარაღების" პროგრამას, რომელიც რეიგანის ადმინისტრაციას სურს მიაღებინოს კონგრესს.

ამერიკელებს, რომლებსაც არ სჯერათ თეთრი სახლის პატრონის მტკიცებანი, თითქოს ეს პროგრამა აუცილებელი იყოს ამერიკის შეერთებული შტატების „ეროვნული უშიშროების" უზრუნველყოფისათვის, ილაშქრებენ პირველი ბირთვული დარტყმის ისეთ საშუალებათა განლაგების წინააღმდეგ, როგორიცაა „მქ" ტიპის რაკეტები და „ბ-1" ბომბდამშენები. სწორედ ამ პროგრამების უარყოფას მოითხოვს ამერიკელთა უმრავლესობა. „მქ" ტიპის რაკეტების წინააღმდეგ გაილაშქრა გამოკითხულთა 58 პროცენტმა, „ბ-1" ბომბდამშენების წინააღმდეგ — 65 პროცენტმა.

ტოკიო. თითქმის 140 საფეიქრო კომპანია გაკოტრდა იაპონიაში მიმდინარე წლის ნოემბერში, იუწყება კიოდო ცუსინის სააგენტო. მათმა ვალმა დაახლოებით 15 მილიარდი იენა შეადგინა. ქვეყნის საფეიქრო მრეწველობა ღრმა კრიზისს განიცდის, ვინაიდან ვერ უძლებს კონკურენციას მსოფლიო ბაზრებზე და საერთო დეპრესიას მოუცავს იაპონიის ეკონომიკა. უკანასკნელ ხანს, აღნიშნავს სააგენტო, ყოველთვიურად დარგის დაახლოებით ასი ფირმა განიცდის ფინანსურ კრახს.

ფოტოობიექტივი ამხილებს

ლიბანში კვლავ დაძაბული ვითარებაა. ისრაელი ოკუპანტები პროვოკაციულად იწვევენ შეიარაღებულ შეტაკებებს მემარჯვენე ქრისტიანულ ნაწილებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის, რის შედეგად არიან ათობით დახოცილნი და დაჭრილნი.

ისრაელი არაფერს არ თაკილობს ვითარების გასამწვავებლად, და ამით მაქსიმალურად აჭიანურებს ლიბანიდან თავისი ჯარების გამოყვანას, რამაც უკვე აურაცხელი უბედურება მოუტანა მშვიდობიან მოსახლეობას. იგი ცდილობს ჩაითრიოს ეს ქვეყანა სამოქალაქო ომის მორევში.

* * *

სურათზე: უსახლკაროდ დარჩენილი ლიბანელები.

იუპი-საქდესის ტელეფოტო.

მშვიდობის განმტკიცებისათვის

მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

ულან-ბატორი. გაიმართა მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმი. ხუთწლედის მეორე წლის შედეგების შესახებ, აგრეთვე მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარების 1983 წლის სახელმწიფო გეგმისა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტების შესახებ მოხსენება გააკეთა, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ჟ. ბატმუნხმა.

პლენუმის მონაწილეებმა წუთიერი დუმილით პატივი სცეს ლ. ი. ბრეჟნევის ხსოვნას.

პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ი. ცედენბალმა, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების ძმურ დახმარებაზე დაყრდნობით მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელები ახალ წარმატებებს აღწევენ რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში.

დღეს, თქვა ორატორმა, მონღოლი ხალხი საბჭოეთის მშრომელებთან ერთად ეგებება სსრ კავშირის — მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლის საიმედო ბურჯისა და ავანგარდის შექმნის 60 წლისთავს. ამის მკაფიო მაგალითია საბჭოთა კავშირის ვალდებულება — პირველმა არ იხმაროს ბირთვული იარაღი. სსრ კავშირის კეთილშობილური ინიციატივა განმტკიცებულია შემდგომი კონსტრუქციული წინადადებებით, რომელთა მიზანია ბირთვული საშუალებების გაყინვა, ბირთვული გამოცდის დაუყოვნებლივ აკრძალვა.

საბჭოთა კავშირის საგარეო-პოლიტიკური კურსის უცვლელობა და თანამიმდევრობა, ხაზი გაუსვა ი. ცედენბალმა, კვლავ დადასტურდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ი. ვ. ანდროპოვის გამოსვლაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე. მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის კომუნისტები, ყველა მშრომელი მთლიანად უჭერენ მხარს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მეცადინეობას, რომლის მიზანია დაძაბულობის შენელების პროცესის განგრძობა, გამალებული შეიარაღების ალაგმვა, განიარაღება.

შემდეგ ორატორი შეეხო აზიაში მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების საკითხებს. მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა მტკიცედ უთანხმებს თავის მოქმედებას საბჭოთა კავშირსა და სხვა მოძმე ქვეყნებს, თქვა მან, და ილტვის აზიის სახელმწიფოებთან მეგობრული [illegible] განვითარებისათვის, [illegible] კონტინენტზე მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფის საქმეში ერთობლივი მოქმედების განხორციელებისათვის.

ისევე როგორც წინათ, მონღოლეთის სახალხო რევოლუციური პარტია და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა თავიანთ საგარეო-პოლიტიკურ საქმიანობას წარმართავენ სსრ კავშირთან და სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნებთან მეგობრობისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის განმტკიცებისათვის სოციალიზმის ქვეყნების, მთელი პროგრესული და მშვიდობისმოყვარე ძალების ერთიანობის გაძლიერებისათვის, საერთაშორისო დაძაბულობის შენელების გაღრმავებისა და ბირთვული ომის თავიდან აცილებისათვის, ქვეყნად მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

● ●

მონღოლეთი. მონღოლეთის ერთ-ერთი საუკეთესო სკულპტურული ნაწარმოები — დ. სუხე-ბატორის ძეგლი ულან-ბატორის ცენტრში. მისი ავტორია რესპუბლიკის უხუცესი მოქანდაკე ჩ. ჩაიმბოლი.

პატრიოტთა შეუპოვარი წინააღმდეგობა

სან-ხოსე. სალვადორის მარიონეტული რეჟიმი, რომელიც ვაშინგტონის ყოველმხრივ დახმარებას ეყრდნობა, უკანასკნელ ხანს აწარმოებს უდიდეს სადამსჯელო ოპერაციას ფარაბუნდო მარტის სახელობის ეროვნული განთავისუფლების ფრონტის პატრიოტთა წინააღმდეგ.

არმიის ქვეგანაყოფებს, რომლებსაც წინა კვირაში დიდი ზიანი მოუვიდა — ზოგიერთმა მათგანმა დაკარგა პირადი შემადგენლობის თითქმის ნახევარი — ცვლიან ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ბაზებში მომზადებული ბატალიონებით.

ეროვნული განთავისუფლების ფრონტის რაზმები შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევენ რეჟიმის ძალებს, ისინი მიმართავენ პარტიზანული ომის ტაქტიკას, ქანცს აცლიან მათ და კონტრიერიშებზე გადადიან. პარტიზანები რამდენჯერმე წარმატებით ჩაუსაფრდნენ მოწინააღმდეგეთა ჯარების ბადრაგს, რომლებიც საომარი მოქმედების რაიონში მიდიოდა. ყველაზე გააფთრებული შეტაკებანი მოხდა კორინტოს, სოსიედადისა და ლისლიკეს დასახლებული პუნქტების (მორასანისა და ლა-უნიონის დეპარტამენტები) მახლობლად.

ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ძირგამომთხრელი ოპერაციები

ნიუ-იორკი. „ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო ლათინურ ამერიკას თავისი საქმიანობის სამიზნედ აქცევს". ამ სათაურით გამოაქვეყნა გაზეთმა „ნიუ-იორკ ტაიმსმა" სტატია, რომელშიც მოთხრობილია ნიკარაგუის წინააღმდეგ ამერიკის საჯაშუშო უწყების ძირგამომთხრელი ოპერაციების შესახებ.

გაზეთი იმოწმებს ამერიკის დაზვერვის თანამშრომლებს, და კერძოდ, აღნიშნავს, რომ „ცენტრალურ ამერიკაში შეერთებული შტატების საიდუმლო მოქმედება, რომელიც ერთი წლის წინათ დაიწყო შეზღუდული მასშტაბით, გადაიქცა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს თითქმის ათი წლისათვის გათვალისწინებულ სამხედრო და პოლიტიკურ ოპერაციად". „საქმე ეხება, — ხაზს უსვამს გაზეთი, — იმ ურთიერთდაკავშირებულ ოპერაციათა სერიას, რომელთა სამიზნეა ნიკარაგუის მთავრობა".

თუმცა ძნელია ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ამ ძიზხით გათვალისწინებული ახლანდელი ოპერაციების ზუსტი ხასიათის გარკვევა იმის გამო, რომ ისინი გასაიდუმლოებული და გაწაფულია, წერს „ნიუ-იორკ ტაიმსი", ცნობილია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების საჯაშუშო უწყება შუამავალთა მეშვეობით იარაღით ამარაგებს გასამხედროებულ რაზმებს, მათ შორის გადარჩენილ სომოსელთა დაჯგუფებებს, რომლებიც ცდილობენ ძირი გამოუთხარონ ნიკარაგუის ახლანდელ მთავრობას.

როგორც გაზეთი წერს, ცენტრალური ამერიკის ამ სახელმწიფოს წინააღმდეგ ძირგამომთხრელი ოპერაციების გეგმა რეიგანის ადმინისტრაციამ ერთი წლის წინათ მოიწონა. აგრესიის პლაცდარმად შეარჩიეს ნიკარაგუის მოსაზღვრე ჰონდურასი, საიდაც მოიკალათეს კონტრრევოლუციონერთა ბანდებმა.

ამერიკის ყოველკვირეული „ტაიმი" აღნიშნავს, რომ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს უშუალო მონაწილეობით ნიკარაგუისა და ჰონდურასის საზღვრის გასწვრივ შექმნილია 10 გასამხედროებული ბანაკი კონტრრევოლუციური ნაძირალების მოსამზადებლად, რომლებიც გაიქცნენ ამ ქვეყნიდან სომოსას დამხობის შემდეგ. „სანამ საქმეში შეერთებული შტატები ჩაერეოდა, აღიარებს ჟურნალი, — კონტრრევოლუციონერები არავითარ საფრთხეს არ წარმოადგენდნენ მანაგუისათვის. სომოსელები დემორალიზებული და ცუდად ორგანიზებული იყვნენ. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა სხვადასხვა ფრაქცია გააერთიანა ცენტრალიზებული სარდლობის ხელმძღვანელობით, ხოლო ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო შეუდგა დაქირავებულთა შეგროვებას". ამერიკის შეერთებული შტატების საჯაშუშო-დივერსიული უწყების მეცადინეობის შედეგად კონტრრევოლუციური ბანდების რიცხვი 1980 წლის 500 კაციდან დღეისთვის 4500-მდე გაიზარდა.

აძლიერებენ იდეოლოგიურ დივერსიებს

ვაშინგტონი. საბჭოთა კავშირის მიმართ კონფრონტაციის პოლიტიკის განხორციელებით, სოციალიზმის ქვეყნების წინააღმდეგ იდეოლოგიური დივერსიების გაძლიერებით რეიგანის ადმინისტრაციას განზრახული აქვს შკვეთრად გააქტიუროს ფსიქოლოგიური ომის ისეთი რუპორების საქმიანობა, როგორიც არის რადიოსადგურები „ამერიკის ხმა", „თავისუფლება", „თავისუფალი ევროპა". ამას მოწმობს სენატის საგარეო საქმეთა კომისიაში გამართული მოსმენა.

სენატორების წინაშე გამოსვლისას, ამერიკის შეერთებული შტატების საინფორმაციო სააგენტოს რადიომაუწყებლობის დირექტორის თანაშემწემ და ამავე დროს „ამერიკის ხმის" დირექტორმა კ. ტომლინსონმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციამ შეიმუშავა ამ ძირგამომთხრელი რადიოსადგურის „ტექნიკურ შესაძლებლობათა გადიდების ვრცელი გეგმები", რომელთა მიზანია საზღვარგარეთის აუდიტორიისათვის გადაცემების „რაოდენობის გაზრდა და ხარისხის გაუმჯობესება".

საერთაშორისო რადიომაუწყებლობის საბჭოს თავმჯდომარემ ფ. შექსპირმა და რადიოსადგურების „თავისუფლებისა" და „თავისუფალი ევროპის" დირექტორმა, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ყოფილმა მოადგილემ ჯ. ბაკლიმ კომისიის სხდომაზე მოითხოვეს მიმდინარე საფინანსო წელს ამ რადიოსადგურების საქმიანობისათვის დამატებით გამოყონ ასიგნებანი 21 მილიონი დოლარის ოდენობით. ეს სახსრები, როგორც შექსპირისა და ბაკლის გამოსვლებიდან ჩანს, გათვალისწინებულია ისევ რადიოსადგურების ცილისმწამებლური გადაცემების მოცულობისა და „გეოგრაფიის" გასაფართოებლად. მათ, კერძოდ, განაცხადეს, რომ დასახული აქვთ პაკისტანის ჩრდილოეთ ნაწილში, ავღანეთის საზღვარზე, აგრეთვე წყნარი ოკეანის ერთ-ერთ რაიონში რადიოსადგურების „გახყოფილებების" გახსნის გეგმები ინფორმაციის „უფრო სრული" შეკრების მიზნით.

შექსპირი და ბაკლი დაჟინებით ამტკიცებდნენ, რომ რადიოსადგურებს „განსაკუთრებული მნიშვნელობა" აქვთ ვაშინგტონისათვის. ძნელია ამას არ დაეთანხმო, თუ გავითვალისწინებთ, რომ მათი საქმიანობა სავსებით შეესაბამება ახლანდელი ვაშინგტონის ადმინისტრაციისათვის დამახასიათებელ აღვირახსნილ ანტისოვეტიზმს.

დემოგრაფია

ხარარე. ზიმბაბვეს დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადების შემდეგ აქ გამოქვეყნდა მოსახლეობის პირველი აღწერის შედეგები. 1982 წლის აგვისტოსათვის ქვეყნის მოსახლეობა 7 მილიონ 500 ათასი იყო. დედაქალაქის მცხოვრებთა რიცხვი 656 ათასამდე გაიზარდა, ხოლო რესპუბლიკის სიდიდით მეორე ქალაქ ბულავაიოში 414 ათასი კაცი ცხოვრობს.

ბანგკოკი. ტაილანდის მოსახლეობამ მიმდინარე წლის ივლისში 48 მილიონ 400 ათასს მიაღწია. ბანგკოკში 5 მილიონ 500 ათასი ტაილანდელი ცხოვრობს. ქალთა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა თითქმის 65 წელია. მამაკაცებისა კი 4 წლით ნაკლები.

მხატვრის ხელქართლობა

ცხრა პერსონალურმა გამოფენამ ერთიმეორეზე დიდი წარმატებით ჩაიარა. ეს მეათეა — თბილისის მხატვრის სახლის დარბაზებში გაწყობილი გალა-გამოფენა.

გალა-გამოფენა-მეთქი, იმიტომაც ვამბობ, რომ განსაკუთრებით ზეიმური განწყობილება გაუფლებდათ საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის ნანა ბოტკოველის კერამიკული ქმნილებების ხილვისას. გამოფენის გახსნაზე ხალხმრავლობა იყო; აქ იყვნენ ისინიც, ვისაც კარგად ახსოვდა მხატვარი ქალის პირველი გამოფენა და ისინიც, ვინც ახლაღა ეზიარა მის საინტერესო შემოქმედებას და აღტაცებას ვერ ფარავდა. ცამეტი წელი გასულა იმ პირველი გამოფენიდან და ამ ხნის მანძილზე მისი სახელი, მისი შემოქმედება არათუ რესპუბლიკის, საბჭოთა კავშირის მასშტაბებსაც კი გასცდა — მოიარა უცხოეთის ქვეყნები და ყოველი ვერნისაჟიდან მადლიერებისა და პირუთვნელი ქებით სტრიქონება, პრესის გულითადი გამოხმაურება გამოჰყვა.

გაზაფხულზე ათენური ვერნისაჟი თუ საბერძნეთის დედაქალაქის ცხოვრებაში მნიშვნელოვან კულტურულ მოვლენად იქცა, შემოდგომის მიწურულს, ფშოპლიური ქალაქი გაახარა მხატვარმა გამოფენით, რომელიც მთელ მის შემოქმედებას მოიცავს და რომელიც სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავსა და გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავს მიუძღვნა. ჭეშმარიტად ღირსეული საჩუქარია!

დარბაზების შუაგულში გუნდგუნდად მიჯრილი მისი ნალვაწი (350 ექსპონატი) — დეკორატიული თუ სალვინე დოქები, ლარნაკები, ამფორები, მარნები, ჯამფიალები, სალუდე კათხები, შანდლები მონუმენტურ ანსამბლს ქმნიან და თეატრალურ ეფექტსაც კი ახდენენ. ექსპოზიციის გამმართავი და დამდგმელიც თვით ავტორია და მან კარგად იცის, „ვის" მიაკუთვნოს დიდი თუ პატარა როლი. ოღონდაც, ტრადიციულად მთავარ როლს კვლავ წყვილი დეკორატიული დოქი, „მეფე-დედოფალი" ასრულებს (78X47, 80X47, 1968 წ.). გამოფენაზეა აგრეთვე დიდი კერამიკული თეფშები, მედალიონები, გუაშითა და აკვარელით შესრულებული პეიზაჟები, პორტრეტები და დეკორატიული მოტივები, რაც კიდევ უფრო ამდიდრებს და ამრავალფეროვნებს მის სახვით იერსა თუ შინაარსს.

საერთოდ ნანა ბოტკოველის შემოქმედებაში ფორმასა და შინაარსს შორის ძალზე ჰარმონიული, ორგანული და თავისებური დამოკიდებულებაა ფერით თუ კომპოზიციით.

კერამიკა ხომ გამოყენებითი ხელოვნების დარგად ითქმის, მაგრამ ნანასთვის რომ კერამიკა მხოლოდ და მხოლოდ გამოყენებითი ხელოვნების დარგი იყოს, ასე სახიერად ვერ ამეტყველდებოდა მისი ნაფიქრი და ნალვაწი. საქმე ის გახლავთ, რომ ნანა ბოტკოველს მოქანდაკის თვალი და ხელი აქვს! როცა იგი სერაფიტად, მშვენიარად, ნესტანად, ტარიელად თუ მეფე-დედოფლად ნათლავს თავის დეკორატიულ დოქებსა და ლარნაკებს, ეს იმას მოწმობს, რომ იგი მოქანდაკესავით ძერწავს, ასულიერებს, დიახ, აცოცხლებს მათ.

ნანა ბოტკოველი თავის სიყვარულს მიაგებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეს — ქართლსა თუ კახეთს, გურიასა და აჭარას — ასევე არქმევს პირობითად ამ სახელებს დოქებსა და საზეიმო ლარნაკებს და ამ პირობითობაში მაინც გამოსჭვივის ეთნოგრაფიული ხასიათი (თუნდაც „კახეთში"). შემდეგ ქართლ-კახეთი, იმერეთი, გურია და სამეგრელო მოფერხულეებივით თავს იყრიან მოზრდილ კომპოზიციაში — მირანში, რომელიც ჩვენი უნეტარესი და უწმინდესი სამშობლო—საქართველოა მხატვრის წარმოსახვაში. ნანა ბოტკოველს აქვს მისეული „გრემიც" და „სვეტიცხოველიც", რომელთა შემკულობაში მეტაფორულად ჟღერს ძველქართული ასტრალური ნიშნები, დღემდე ცოცხალი ხალხური ჩუქურთმები, თავისებურად გარდაქმნილ-გააზრებული.

ქართული მეთუნეობის ძირძველი, ძირითადი ხალხური ხერხები და მოტივები მხატვარი ქალისთვის ამოსავალი წერტილია, მაგრამ იგი ნიადაგ ამდიდრებს, ასხვაფერებს, ხვეწავს მათ და თანამედროვე მხატვრული კერამიკული ხელოვნების დარგში კომპოზიციის ბრწყინვალე, დასრულებულ ოსტატად გვევლინება.

ნანა ბოტკოველს ხელეწიფება მონუმენტურობაში სინატიფის შენარჩუნება, რელიეფურად დამერწილი ჩუქურთმებით პატიოსანი თვლების ილუზიის შექმნა, ვირტუოზულად გადაზელილ ამოყვანილ და მოგლუსუნებულ თიხეულში თიხისათვის უჩვეულო ჰაეროვნებისა და ელვარების მინიჭება. ხერხთა მრავალფეროვნებისა და ფორმათა მრავალსახეობის მიუხედავად, იგი საოცრად ზომიერია, შინაგანად კი მუდამ სავსე, ემოციური და დინამიკური (გავიხსენოთ თუნდაც „თრიალეთი", „მზე და ვერძი", „ფიროსმანის საფლავი", მარნები — „ძმაო, ძმითა ხარ ძლიერი", „გუშინ შვიდნი გურჯანელნი").

დღემდე მხატვრის პალიტრაში თვით თიხის ბუნებრივ ფერთან ერთად შავი და ფირუზისფერი ბატონობდა, ახლა ძოწისფერმა ჭიქურმა იმძლავრა. ამ მხრივ უაღრესად დახვეწილ ფორმასთან ერთად დიდ ყურადღებას იქცევს ლარნაკებისა და სურების ახალი ანსამბლი, რომელთა ძოწისფერი ღიმილი მომინანქრებულ კეთილშობილ ლითონთა, ანუ ილექროთა (ოქრო-ვერცხლი, სპილენძი) ელვარებას უტოლდება.

ნანა ბოტკოველი ვარიაციების ოსტატიც გახლავთ, გნებავთ ფორმათა, გნებავთ ისევ ფერთა თუ სამკაულთა გამოგონებაში (ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით); მისი ფანტაზია ლაღი და სიხარულის მომნიჭებელია, ხოლო თუ ხელოვანმა თავისი ქმნილებით, თავისი ხორცშესხმული ოცნებით ათასობით ადამიანი აალევა და გაახარა, მშვენიერი ლექსივით რამდენჯერმე „წააკითხა" მის „ქართლსა" და „კახეთში" „აჭარასა" და „გურიაში", „შვიდკაცასა" და „ერთობაში" შემძივული ფიქრები, — იგი ჭეშმარიტად მირონცხებულია.

... რამდენი შესძლებია ქალის მარჯვენას! დამთვალიერებელთა დიდ ჯგუფს სამი კაცი გამოეყო, მიუახლოვდა შემძივულ დოქებს და ერთ-ერთს ფრთხილად წაუწკიპურტა — აი ისე, ბროლის ჭიქას რომ აამღერებენ ხოლმე... თიხამ საამოდ დაიწკრიალა.

— მღერის, ხომ გესმის, მღერის! — თქვა კაცმა სიხარულით (თუ კეთილი შურით).

— ჰო, — უთხრა მეორემ.

— თიხაა და ასე მღერის! — გაუმეორა პირველმა. ცხადია ეს კაცები თიხისმცოდნეები იყვნენ. ამიტომ ისიც კარგად იცოდნენ, რომ თიხა ყველას ხელში ვერ ამღერდება. ნანა ბოტკოველში კი ეს სიმღერა წინაპრებიდან მომდინარე და გადმოლოცვილია. ეს არის მისი ხელქართლიანობის საიდუმლოც (სწორედ ხელქართლია და ეს კომპოზიტი ჩინებულმა სიტყვამ გულქართლმა მიკარნახა). მხატვარი ქალის შემოქმედებას ამ მამაპაპეული მადლის ღრმა მემკვიდრეობითობის ბეჭედიც აზის, მაგრამ მთავარი ის არის, რომ არქაული და თანამედროვე ხერხების შერწყმით მან შექმნა ახლებური და ამავე დროს სრულიად ქართული ნიმუშები კერამიკისა, რომელთაგან რჩეულებმა საერთაშორისო აღიარება მოიპოვა.

... ელადიდან გამომგზავრებისას, სადაც ნანა ბოტკოველის ხელოვნება სწორედ პატიოსან თვალს შეადარეს, მადლიერმა მასპინძლებმა მას ათენის აეროპორტში ნიკეს მცირე ფიგურა უსახსოვრეს. სიმბოლური საჩუქარია!

ეს სახსოვარი ალბათ მომავალ გამარჯვებათა საწინდარიც იყო!.

ნანა ღვინეფაძე.

● სურათზე: ნანა ბოტკოველი თბილისის მხატვრის სახლში გახსნილ პერსონალურ გამოფენაზე.

ჯ. ლომაძის ფოტო.

კინომოყვარულთა ფილმების კონკურსი

დამთავრდა კინომოყვარულთა ფილმების რესპუბლიკური დათვალიერება, რომელზეც წარმოდგენილი იყო საქართველოს ოცი თვითმოქმედი კინოსტუდიის 32 ფილმი. ჟიურიმ განსაზღვრა გამარჯვებულნი.

პირველი პრიზი და პირველი ხარისხის დიპლომი მიენიჭა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის სახალხო კინოსტუდიის კინოპროგრამას (ხელმძღვანელი რ. ლავთაძე), რომელმაც კონკურსზე წარმოადგინა დოკუმენტური ფილმები „ბრიგადირი", „პური", „წყალდიდობა".

მეორე ადგილი, პრიზი და დიპლომი მიენიჭა საქართველოს პროფსაბჭოს კავშირთაშორისი კულტურის სასახლის სახალხო კინოსტუდიის პროგრამას (ხელმძღვანელი რ. კარაგელოვი), რომელშიც შედიოდა ფილმები „გადასახლელი", „მაჩაიძეების ოჯახი" „ორი მეგობარი", „პროგრესი", და სურამის სტუდიის „ოქროს გასაღებს" (ხელმძღვანელი ლ. ჯობაძე), რომელმაც წარმოადგინა კინოფილმი „კოლმეურნეობის თავმჯდომარე".

მესამე პრიზი და მესამე ხარისხის დიპლომი მიენიჭა „პიონერფილმის" (ხელმძღვანელი გ. ჩიგოგიძე), კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოების მუშაკთა საქართველოს კომკავშირის 50 წლისთავის სახელობის კულტურის სახლის (ხელმძღვანელი ა. ქელენტი) და თბილისის საოლქო ოფიცერთა სახლის (ხელმძღვანელი ი. ტალიანი) მოყვარულთა ფილმებს.

ჟიურის სპეციალური პრიზები მიენიჭა საქართველოს პროფსაბჭოს კინომოყვარულთა რესპუბლიკურ კლუბ-ლაბორატორიას და ზესტაფონელ სცენარისტს ნ. ვეფხვაძეს. ექვსმა სტუდიამ მიიღო წამახალისებელი პრიზები.

(საქინფორმი).

შეხვედრა მურის ხიდთან

ცაგერი. (საკ. კორ.). მურის ხიდს, რაჭის, ლეჩხუმისა და სვანეთის გზაშესაყართან რომ ბუგიათ ჩვენს წინაპრებს მდინარე ცხენისწყალზე, მაღლიდან სამი ზვიადი ციხე — „დაუხვედი", „დაჰკარი" და „არ გაუშვა" გადმოჰყურებს. ვინ მოთვლის, რამდენი მომხდური მოუგერიებიათ ამ ხეობაში ჩვენს მამა-პაპათ. ამიტომაც შემორჩენილა დღემდე. ლეგენდები და სიმღერები მათ გმირობაზე.

სწორედ წარსულისადმი ღრმა პატივისცემის გრძნობას და ჩვენს სადაგ დღეებს, სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავის იუბილეს მიეძღვნა ახალგაზრდების შეხვედრა და მიტინგი მურის ხიდთან.

მიტინგის შემდეგ შეხვედრის მონაწილეებმა გვირგვინებით შეამკეს პროლეტარიატის დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის ძეგლი, დაათვალიერეს პოეტ ლადო ასათიანის სახლ-მუზეუმი, გაეცნენ რაიონის კომკავშირელთა შრომით საქმიანობას.

მზის დაბნელება

15 დეკემბერს მზე ნაწილობრივ დაბნელდება. ამ მოვლენაზე დაკვირვება შეიძლება ევროპაში, აგრეთვე აზიისა და ჩრდილოეთ აფრიკის დასავლეთ ნაწილში. საქართველოში კი დავინახავთ, თუ როგორ დაიჩრდილება მზის დისკოს თითქმის 63 პროცენტი.

თბილისში მზის დაბნელება დაიწყება ადგილობრივი დროით 11 საათსა და 53 წუთზე. მზის დაბნელების მაქსიმალური ფაზის მომენტი დადგება 13 საათსა და 31 წუთზე, ხოლო 15 საათსა და 06 წუთისათვის მთვარის ბნელი დისკო მთლიანად დასცილდება მზის ზედაპირს და დაბნელებაც დამთავრდება. ჩვენი რესპუბლიკის სხვა პუნქტებისათვის დაბნელების შესაბამისი მომენტები გამოირჩევა მცირე სიდიდეებით თბილისთან შედარებით. ეს განსხვავება არსად არ გადასცილდება 10 წუთს. თუ ამინდი კარგი იქნება, მზის დაბნელებას იხილავს ყოველი მსურველი. მაგრამ ამას ერთი პირობაც ახლავს: უნდა გაიკეთოთ შავი სათვალე ან იქონიოთ მუქი ფერის მინა, რათა მზემ თვალი არ მოგჭრათ.

ვ. ჯაფიაშვილი,
აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორის მოადგილე.

წრიული მარშრუტით

სოხუმი. (საკ. კორ.). სულ უფრო კეთილმოწყობილი ხდება სოხუმის ახალი მიკრორაიონი — ლეჩქოფის პლატო. მატულობს მრავალსართულიან შენობათა კვარტალები, კულტურულ-საგანმანათლებლო, სასწავლო და სამკურნალო დაწესებულებები.

ამ დღეებში კი მშენებლებმა ახალი შესანიშნავი საჩუქარი მოუმზადეს ქალაქის მშრომელებს — საექსპლოატაციოდ გადაეცა საკონტაქტო ხაზი, რომლითაც თითქმის 2 კილომეტრით გაგრძელდა და წრიული გახდა ტროლეიბუსების სამარშრუტო ქსელი.

ამჟამად აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქის სატროლეიბუსო ქსელის საერთო სიგრძე 32 კილომეტრს აღწევს.

ყ ა ბ ა ხ ი

ცნობები ტალინიდან

ტალინში მიმდინარე ქალთა 42-ე საკავშირო ჩემპიონატში გათამაშდა 3 ტური. ნ. გურიელმა პირველი და მესამე ტურის პარტიები მოუგო ზაიცევას და ჩეხოვას, უკეთეს პოზიციაში გადადო მეორე ტურის პარტია მ. ლიტინსკაიასთან. ნ. იოსელიანმა ტიტორენკოსთან და ეპშტეინთან გამარჯვების შემდეგ შავებით წააგო თავიდან კარგად გათამაშებული პარტია ზაიცევასთან. თ. ხუგაშვილმა პირველ ტურში ფრედ ითამაშა ლელჩუკთან და გადადო მომდევნო პარტიები. მ. წერეთელმა პირველ ტურში წააგო მინოგინასთან, შემდეგ გადადო პარტია ახმარუმოვასთან და მოუგო არახამიას. ქ. არახამიამ წააგო მეორე და მესამე ტურის პარტიები, მეტოქის ავადმყოფობის გამო გამოტოვა პირველი ტურის პარტია.

გადადებული პარტიების უმეტესობა ასე დასრულდა: გურიელმა ვერ გამოიყენა უპირატესობა და ფრეს დასჯერდა. წერეთელმა სძლია ახმარუმოვას. ხუგაშვილმა ფრედ ითამაშა კულიკოვასთან და მოუგო ტიტორენკოს. არახამიამ შავებით უკეთეს პოზიციაში კვლავ გადადო პირველი ტურის პარტია ჩეხოვასთან.

სამი ტურის შემდეგ მოჭადრაკეები ასე განლაგდნენ: ლიდერია ნ. გურიელი, მას ორ-ნახევარი ქულა აქვს, წერეთელს, იოსელიანს, ახმარუმოვას, ხუგაშვილს, ეპშტეინს, ზაიცევას ორორი ქულა, ჩელუშკინას — ერთნახევარი ქულა და 1 გადადებული პარტია, ლელჩუკს, პიარპუუს ფათალიბეკოვას, კულიკოვას, და მინოგინას — ერთნახევარ-ერთნახევარი ქულა, ლიტინსკაიას — ერთი ქულა, კოზლოვსკაიას 0,5 ქულა, ჩეხოვას — 0 (2), არახამიას — 0 (1), ტიტორენკოს — 0 ქულა.

დრო, ამბები, მოვლენები

რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში

გეგეჭკორი

შენდება და მშვენდება რაიონული ცენტრი

ამ ბოლო წლების მანძილზე რაიონული პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით გეგეჭკორში ბევრი თვალსაჩინო სასიკეთო ცვლილება მოხდა. რაიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განუხრელ შესრულებაზე ზრუნვის შედეგად, სულ უფრო შენდება და მშვენდება დაბა გეგეჭკორი. კეთილმოეწყო ქუჩები, სკვერები, გაზონები. სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის არსებულ შენობას მიუშენდა სამსართულიანი ნაგებობა, რომელშიც ბინა დაიდეს კომკავშირისა და სახალხო კონტროლის რაიონულმა კომიტეტებმა, განათლების განყოფილებამ.

რუსთაველისა და მშვიდობის ქუჩებზე საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი საცხოვრებელი სახლები, მალე დამთავრდება ხუთსართულიანი 48-ბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. სულ ახლახან კი საძირკველი ჩაეყარა კიდევ ერთ ასეთ სახლს, რომელიც ინდივიდუალური პროექტით შენდება... რაიონის მშრომელთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებაზე ასეთი სისტემატური ზრუნვის შედეგად, მომავალი წლის მიწურულს აქ მთლიანად მოგვარდება საბინაო პრობლემა.

მეგობრობის პროსპექტი

დაბის ცენტრს მდინარე ინჩხურის გასწვრივ გაშენებული კაკლისა და წაბლის ხეივნით დამშვენებული ახალი პროსპექტი შეემატა, რომელსაც ლატვიის სსრ რესპუბლიკის ლიეპაიას რაიონისა და გეგეჭკორელ მშრომელთა მჭიდრო თანამშრომლობისა და ძმობის სიმბოლოდ მეგობრობის პროსპექტი ეწოდა. მისი პირველი რიგი მიმდინარე წლის დეკემბერში გადაეცემა საექსპლოატაციოდ.

იქნება ახალი მიკრორაიონი

მეგობრობის პროსპექტის ბოლოს აიგო რკინა-ბეტონის ხიდი, რომელმაც ორ მდინარეს — ინჩხურისა და აბაშას შორის არსებული მონაკვეთი რაიონულ ცენტრს დაუკავშირა. ამან უფრო ხელმისაწვდომი გახადა ახალი მიკრორაიონის მშენებლობა. აქ უკვე შენდება ცენტრალური პურსაცხობი და ლიმონათის ქარხანა. ახლო მომავალში აქაურობას დაამშვენებს აგრეთვე საკოლმეურნეო ბაზარი, რაიონული საავადმყოფო, სასპორტო კომპლექსი, დიდების მემორიალი და სხვ.

ჩაი — გეგეჭკორული მარკით

რაიონის ერთ-ერთ ყველაზე მჭიდროდ დასახლებულ უბანში, სოფელ ნახარებაოში ამოქმედდა ჩაის გადამწონი ფაბრიკა. ახალმა ფაბრიკამ ადგილობრივი მარკის მზა პროდუქციის პირველი პარტია უკვე გაუგზავნა როგორც საბჭოთა, ისე საზღვარგარეთელ მომხმარებლებს. მომავალი წლიდან კი განზრახულია საფირმო ჩაის „მარტვილის" გამოშვება.

ახალი სკოლები

გასულ სასწავლო წელს ახალმოსახლეობა იზეიმეს გეგეჭკორის პირველი საშუალო სკოლის მოსწავლეებმა და პედკოლექტივმა. სამსართულიან ნათელ შენობას, რომელიც მათს განკარგულებაშია, აქვს კეთილმოწყობილი საკლასო ოთახები და კაბინეტ-ლაბორატორიები, სასპორტო დარბაზი, 25-მეტრიანი საცურაო აუზი. წლეულს ასეთავე სიხარული განიცადეს ნოღელმა მოსწავლეებმაც, რომლებსაც საშუალო სკოლის სამსართულიანი შენობა გადაეცათ.

მარტვილის ახალი სიცოცხლე

სერიოზული სამუშაოები მიმდინარეობს ცამეტსაუკუნოვანი მარტვილის მონასტრის, მისი შემოგარენის კეთილმოსაწყობად. აიღეს მონასტრის წინ რამდენიმე ათეული წლის წინათ აშენებული ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი, გაიწმინდა და გამშვენიერდა მონასტრის შემოგარენი. მიმდინარეობს გალავნის სამშენებლო სამუშაოები. გარდა ასფალტიანი გზისა, რაიონული ცენტრი მონასტრის კომპლექსს დაუკავშირდება საბაგირო გზითაც. მალე ეს შესანიშნავი არქიტექტურული ანსამბლი, საიდანაც დიდებული სანახები იშლება, უფრო მეტ დამთვალიერებელს მიიზიდავს.

რ. რუსია,
„კომუნისტის" საკ. კორ.

რ. სილაგავა,
გეგეჭკორის რაიონულ გაზეთ „შრომის დროშის" რედაქტორის მოადგილე.

● სურათზე: გეგეჭკორის რაიონული ცენტრის ერთ-ერთი კუთხე.

„კომუნისტის" კალენდარი

მშობლიური კულტურის მეცენატი

მანანა მირმანოზის ასული ორბელიანი XIX საუკუნის ერთ-ერთი საინტერესო, კოლორიტული ფიგურაა, საინტერესოო, ვამბობთ, რადგან გონებანათელი, პროგრესულად მოაზროვნე დიდი შემართების ქალი მრავალ კულტურულ წამოწყებათა შთამაგონებელი და სულისჩამდგმელი, ამავე დროს ერთი პირველი ქართველ ქალთაგანი იყო, რომელმაც დიდი ღვაწლი დასდო ქართველი ხალხის სხვა ხალხებთან მეგობრობისა და ძმობის განმტკიცების დიდ საშვილიშვილო საქმეს.

ამ საქმეში მანანა ორბელიანი მარტო არ ყოფილა, მის გვერდით იდგნენ ალექსანდრე ჭავჭავაძე და მისი მშვენიერი ასულნი ნინო და ეკატერინე ჭავჭავაძეები, ნიკოლოზ ბარათაშვილი, მაიკო ორბელიანი, მართა სოლოღაშვილი, გრიგოლ ორბელიანი და სხვები.

დასახული მიზნის განსახორციელებლად მანანამ თავისი საკუთარი სახლი (რომელიც ახლაც დგას კეცხოველის ქუჩის კუთხეში, ოღონდ უწარწეროდ) ლიტერატურულ საკრებულოდ აქცია.

კულტურული ურთიერთობის დამყარებით და სალონის დაარსებით მანანამ ახალი სული შთაბერა დედაქალაქის საზოგადოებრიობის მღელვარე ცხოვრებას. მაშინ ეს არ იყო პატარა საქმე. მან კარი გაუღო თბილისის წარჩინებულ პოეტებს, მწერლებს, ქალაქის მმართველობის ღირსეულ წარმომადგენლებს, ყველას, ვისაც კი თავისი სამშობლოს აწმყო და მომავალი აღელვებდა.

ვის არ ნახავდით აქ, ვინ არ ჩამოდიოდა რუსეთიდან, უცხოეთიდან, ვინ არ იყო დაინტერესებული ქართველ „მადამ რეკამიეს" გაცნობით, ქალს, რომელსაც ჯერ კიდევ მაშინ კარგად ესმოდა ხალხთა მეგობრობის განმტკიცების აუცილებლობა.

ცარიზმის უკმაყოფილო რუსი ინტელიგენტები, პოეტები, მოგზაურები, რომლებიც საქართველოში ცხოვრობდნენ, მანანას სალონში პოულობდნენ სულიერ სიმშვიდეს. აქ ხვდებოდნენ ისინი მოწინავე ადამიანებს, გონებითა და გარეგნული სიმშვენიერით ცნობილ სალომე ორბელიანი-ჭავჭავაძისას (ალ. ჭავჭავაძის მეუღლეს), ნინო ჭავჭავაძე-გრიბოედოვას, ეკატერინე ჭავჭავაძეს, ეფემია ბარათაშვილს, მარიამ ივანეს ასულ ერისთავს, პოეტ ქეთევან შალვას ასულ ერისთავს, პრასკოვია ახვერდოვას...

მანანა ორბელიანის სალონის ქებამ სამშობლოდან შორს მყოფ გრ. ორბელიანამდეც მიაღწია.

„თქვენი გაბრწყინებული სალონი სავსეა ანგელოზებით, ფრანცუზებით, ჰინდოელებით. ჭეშმარიტად მშორს მათი ბედნიერება და ვამბობ, ნეტავი მათ რიცხვში მეც ვიყო მეთქი, მაგრამ ცაიოლი ნატვრით რა. გამოვა, თუ ღინება ესეც ამისრულდეს, ვინ იცის, ვიქნები თქვენგან მათ მსგავსად მიღებული? რასაკვირველია, აღარ მექნება ის ადგილი, რომელიც ახლა შეუყრიათ უცხო ქვეყნელთ", — სწერდა მანანას პოეტი.

ამ ახლებური ლიტერატურული ცხოვრების საზოგადოებრივ ინტერესებს კარგად გრძნობდა ნიკოლოზ ბარათაშვილი, რომელიც მანანა ორბელიანის განთქმული სალონის მშვენება იყო. მას მანანა ორბელიანის სალონში თავისი თანატოლებიც დაჰყავდა, აქ კითხულობდნენ თავიანთ ლექსებს გ. ერისთავი, მ. თუმანიშვილი, დ. ყიფიანი და სხვები.

სალონში საჯაროდ წაკითხულ ლექსებს მანანა დიდ მოთხოვნილებას უყენებდა. საინტერესოა ამ მხრივ მისი, როგორც რეცენზენტისა და რედაქტორის დამოკიდებულება სალონში გამოგზავნილი პოეტ გრ. ორბელიანის ლექსისადმი. მათი ახლო მეგობრობისა და გრ. ორბელიანის დიდი პოეტური სახელის მიუხედავად, მანანამ მისი ლექსი გააკრიტიკა და დაიწუნა: „ვერაფერი გახლავთ შენი ლექსი „დიპლოპიტი" — შენს დღეში ამისთანა უვარგისი ლექსი არ გითქვამსო", — სწერდა იგი პოეტს.

ასე უანგაროდ ემსახურებოდა მანანა ორბელიანი ჩვენი ეროვნული კულტურის განვითარებას. ყოველივე ამას მანანა აკეთებდა მაშინ, როცა ქართული ჟურნალგაზეთები არ გამოდიოდა და ქართველობა თავის გულისთქმას მანანას სალონში ამჟღავნებდა.

მანანა ორბელიანმა დიდი საშვილიშვილო საქმე გააკეთა იმითაც, რომ თავის სალონში ჩაუყარა საფუძველი რუსული და უცხოური ლიტერატურის რჩეულ ქმნილებათა ქართულ ენაზე თარგმნასა თუ გადმოკეთებას.

მისი თაოსნობით თარგმნა დიდმა მამულიშვილმა დიმიტრი ყიფიანმა შექსპირის შესანიშნავი ტრაგედია „რომეო და ჯულიეტა". წიგნის თავფურცელზე ვკითხულობთ: „კნეინა მანანა ორბელიანის ქართულ ენაზე გადმოღებული დიმიტრი ყიფიანის მიერ".

მანანა ორბელიანის პატრიოტული საქმიანობით ფრთაშესხმული ნ. ბარათაშვილი სიხარულით სწერდა თავის ბიძას გრ. ორბელიანს:

„ჩვენმა ლიტერატურამ ორი კარგი თარგმანი იშოვა, კაპიანმა თარგმნა «Ромео и Джульета» შექსპირის ტრაგედია და მე ვთარგმნე «Юлий Тарентский» — „ტრაგედია ლეიზევიცისა", თუ წაიკითხავს ბიბლიოთეკაში იყო დაბეჭდილი, მე ძალიან მომეწონა და ჩვენმა განათლებულმა ქალებმა ასე გასინჯე იტირეს".

დიდ ინტერესს და სიყვარულს იჩენდა მანანა რუსული პოეზიისადმი. უზომო იყო მისი აღტაცება, როცა წინანდალში ჭავჭავაძის ქალებთან სტუმრობისას გაეცნო ალექსანდრე პუშკინის ძმას ლევ პუშკინს, შესანიშნავ დეკლამატორს, რომელმაც ქალებს რუსულად წაუკითხა ალ. პუშკინის „რუსლან და ლუდმილა".

მანანამ სწრაფად აფრინა წერილი გრ. ორბელიანთან, სრულიად დარწმუნებულმა, რომ ამ პოემის მასზე უკეთეს მთარგმნელს ვერ იშოვიდა.

იმდენად დიდი ყოფილა მანანას ინტერესი პუშკინის პოეზიისადმი, რომ გრ. ორბელიანი ხუმრობით სწერდა ჭავჭავაძის ასულებს მანანა ორბელიანის თარგმანებით გატაცების შესახებ.

მანანა ორბელიანის სალონმა ხელი შეუწყო რუსული და ქართული მწერლობის ურთიერთდაახლოებას. რუსი მწერლები დიდ აღტაცებას გამოთქვამდნენ ქართველი ხალხის მაღალი კულტურის, ბუნების, ზნე-ჩვეულებებისა და სტუმართმოყვარეობის გამო. მისი სალონის საპატიო სტუმრები იყვნენ გრიბოედოვი, ოდოევსკი, ბარონი ტორნაუ, მუსინ-პუშკინი, ბესტუჟევ-მარლინსკი, ლერმონტოვი და სხვები. აქ მსჯელობდნენ, ბაქრობდნენ და მერე ლამაზად იგონებდნენ მანანას სალონში გატარებულ დაუვიწყარ საღამოებს.

მ. ლერმონტოვი ხომ აქ გაეცნო მაიკო ორბელიანს და სახსოვრად დაგვიტოვა მისდამი მიძღვნილი ლექსი „როცა დავშორდი მშობლიურ საზღვრებს".

40-იან წლებში კი პოლონსკიმ თავის ერთ-ერთ ლირიკულ ლექსში დიდებულად დაგვიხატა მაიკო ორბელიანის შესანიშნავი პიროვნება.

მეფისნაცვალი მ. ვორონცოვი დიდად სცემდა პატივს მანანა ორბელიანის მოღვაწეობას. მანანამ მისი ხელშეწყობით თავის სალონში გარკვეული საფუძველი მოუმზადა ქართული ჟურნალის „ცისკრისა" და მუდმივი თეატრის დაარსებას.

ქართული კულტურის მეცენატი მანანა ორბელიანი 62 წლისა გარდაიცვალა 1870 წლის 13 ივნისს. დიდად დამწუხრებული გრიგოლ ორბელიანი სამეგრელოში მყოფ ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისას სწერდა:

„მწუხარებაზე მწუხარება დაგვირთო, ძლივს დავასაფლავეთ საწყალი ალექსანდრე სამებაში, ორი დღის უკან მოვასვენეთ იქვე ჩვენი სასიქადულო მანანა".

მანანა ორბელიანი განისვენებს ისტორიულად ცნობილ სოფელ კუმისში, ქმრისეულ მამულში. ეკლესიის გალავანში ორბელიანთა საგვარეულო სასაფლაოზე მანანასთან ერთად განისვენებენ სახელოვანი ქართველი მამულიშვილები: მანანას მეუღლე — სახელმწიფო მრჩეველი დავით ჯამბაკურ-ორბელიანი, შვილები ტასო, ალექსანდრე, ივანე, ლუარსაბ და ყაფლან ორბელიანები, 1832 წლის შეთქმულების მონაწილე იასე ფალავანდიშვილი და სხვანი.

დღეს მანანა ორბელიანის დაბადების 175 წლისთავთან დაკავშირებით აღდგენილია უძველესი ეკლესია და მოვლილია მეცენატი ქალის საფლავი. დაე, კვლავაც იცოცხლოს მანანა ორბელიანის სახელმა, რომელიც ათეული წლების მანძილზე ქალს უწყობდა ქართული მწერლობის განვითარებასა და ხალხთა მეგობრობის განმტკიცების საშვილიშვილო საქმეს.

ნინო ჩიხლაძე,
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.

მ. ჯაფარიძე

ავტომობილის კატასტროფის შედეგად დაიღუპა შინაგანი სამსახურის თადარიგის პოდპოლკოვნიკი, შინაგან საქმეთა ორგანოების დამსახურებული მუშაკი, 1950 წლიდან სკკპ წევრი, დიდი სამამულო ომის ვეტერანი, სამივე ხარისხის დიდების ორდენის კავალერი მურმან დავითის ძე ჯაფარიძე.

მ. ჯაფარიძე დაიბადა 1925 წელს ჭიათურის რაიონის სოფელ ხრეითში. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ შრომითი საქმიანობა დაიწყო „ჭიათურმანგანუმის" ტრესტის ერთ-ერთ შახტში ზეინკლად. 1941 წელს დაამთავრა ჭიათურის საშუალო სკოლა, შემდეგ მუშაობდა მშობლიური სოფლის კოლმეურნეობაში.

1943-1950 წლებში მ. ჯაფარიძე სამშობლოს დამცველთა რიგებშია. 1944-1945 წლებში ფრონტზე საბრძოლო დავალებათა შესრულების დროს მამაცობისათვის მ. ჯაფარიძე დაჯილდოვდა მესამე, მეორე და პირველი ხარისხის დიდების ორდენებით. ამასთან ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში თავდადებისათვის არჩეული იყო ტერნოპოლის ოლქის ქალაქ ბუჩაჩის საპატიო მოქალაქედ.

საბჭოთა არმიიდან დემობილიზაციის შემდეგ მ. ჯაფარიძე ჯერ კოლმეურნეობაში შრომობს, შემდეგ კი ამთავრებს [illegible] ... დაც კი მას გზავნიდნენ, ყოველთვის გამოირჩეოდა საზრიანობით, გულითადობითა და შეუდრეკელობით დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში. მისი დამსახურება არაერთხელ აღინიშნა სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროების ხელმძღვანელობის მიერ.

წავიდა ჩვენგან შესანიშნავი მეგობარი და ამხანაგი, კეთილი და ყურადღებიანი ადამიანი, რომელმაც ნათლად მოიხადა ვალი თავისი ქვეყნისა და ხალხის წინაშე. მისი ხსოვნა დიდხანს დარჩება იმათ გულში, ვინც იცნობდა და მუშაობდა მასთან.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგია; საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს პარტიული კომიტეტი; საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ომის ვეტერანთა საბჭო.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის საწარმოო-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტი და საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მეცნიერი ძრავათმშენებლობის დარგში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოყენებითი მექანიკისა და მართვის პროცესების განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი

ვახტანგ ვასილის ძე მახალდიანი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ მოულოდნელად გარდაიცვალა № 1 სამშენებლო-სარემონტო ტრესტის მთავარი ინჟინერი

რევაზ დიმიტრის ძე ჩხოლარია

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ტელევიზია

9 დეკემბერი

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია". 9.45 — გამოგვეხმაურეთ, მეზღვაურებო! 10.30 — მხატვრული ფილმი. 11.50 — კონცერტი. 12.20, 15.30 — ახალი ამბები. 15.50 — „საბჭოთა ადამიანისათვის". დოკუმენტური ფილმები. 16.35 — „პუშკინი და მუსიკა". 18.45 — მსოფლიოს ჩემპიონატი ხელბურთში. ქალები. 19.15 — მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — უკრავს მ. იაშვილი (ვიოლინო). 20.20 — მეცნიერება. 20.50, 22.35 — ტელესპექტაკლი „მეურვენი". ა. ოსტროვსკის პიესის „უკანასკნელი მსხვერპლის" მიხედვით. 22.00 — „ვრემია". 23.50 — დღეს მსოფლიოში.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — დოკუმენტური ტელეფილმი. 9.35 — ბუნებისმეტყველება. მე-4 კლასი. 9.55 — ესპანური ენა. 10.25 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „თეთრ ფრინველთა კუნძულები". 11.05 — პროფტექნიკურ სასწავლებელთა მოსწავლეებისათვის. საზოგადოებათმცოდნეობა. 11.35 — მუსიკა. მე-3 კლასი. 12.05 — საჭადრაკო სკოლა. 13.10 — გეოგრაფია. 14.15 — მ. ე. სალტიკოვ-შჩედრინის თეატრი. პირველი და მეორე ნაწილი. 15.45 — რას და როგორ ასწავლიან პროფტექნიკურ სასწავლებლებში. 16.15 — ახალი ამბები. 20.30 — ადამიანი და კანონი. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!" 21.15 — ევროპის ჩემპიონთა თასი კალათბურთში. ცსკა—„რეალი" (მადრიდი). 22.00 — „ვრემია". 22.35 — მხატვრული ტელეფილმი „ზღვის ფერია" (გდრ).

თბილისი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია" (მ.). 9.40 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ილიკო მაიაკოვსკის შესახებ". 10.00 — „მოამბე". 10.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმების პროგრამა — „ზღვის ფერები", „მოთხრობა მწვანე სახლზე", „მდინარე და ცა". 12.30 — საბავშვო კონცერტი. 13.00 — აბიტურიენტთათვის — ბიოლოგია. 13.30 — დოკუმენტური ფილმი „ოქროს ფესვი". 14.30 — კონცერტი. 17.00 — შევისწავლოთ ფრანგული ენა. 17.25 — მოსწავლეთათვის — კონცერტი. 18.00 — განცხადებები. 18.05 — მულტიპლიკაციური ფილმი. 18.15 — „ბუნების კარი". 19.00 — ქართული ეკრანის ოსტატები" — გრ. ტყაბლაძე. 20.00 — უკრავს საქართველოს სსრ სახალხო არტისტი მ. იაშვილი (მ.). 20.20 — „მოამბე". 20.50 — ხალხური შემოქმედება — „დაუკარ, ჩემო ჩონგურო". 21.15 — ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი კალათბურთში: ცსკა — მადრიდის „რეალი" (მ.). 22.00 — „ვრემია" (მ.). 22.35 — ახალგაზრდობისათვის — „გაუმარჯოს გულახდილობას" (შეხვედრა მწერალ ნ. აგიაშვილთან). 23.55 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 17.05 — დოკუმენტური ფილმი „გაუფრთხილდით მიწას". 18.00 — მოსწავლეთათვის — ქიმია. 18.45 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „სემიპალატინსკი". 19.00 — მასწავლებლის საათი — რუსული ენა. 19.45 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „შეხვედრამდე". 20.10 — განცხადებები.

თეატრი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — სევილიელი დალაქი (მე-9 აბონ. მე-9 წარმოდგენა); რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ვარიაციები თანამედროვე თემაზე; მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ალსარება; აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — მე, ცოლი და სიდედრი; მინიატურების სახელმწიფო — ნაკრები.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უ 08578 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით. საბეჭდი კორპუსი, ხოტარაულის 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19